სს "საპარტნიორო ფონდი"

2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 57 13
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "საპარტნიორო ფონდი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "საპარტნიორო ფონდის" (შემდგომში „ფონდი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებზე კონტროლის დაკარგვა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 26 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს, რომლებმაც მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებზე კონტროლის დაკარგვა გამოიწვია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს "მმართველობით ანგარიშს".

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
23 იანვარი, 2023 წელი

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
23 იანვარი, 2023 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,239,073	3,295,897
საინვესტიციო ქონება	9	108,251	103,457
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	10	90,476	64,758
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	11	33,515	64,182
ფინანსური იჯარის მოთხოვნა	12	80,898	79,962
სასესხო მოთხოვნა		8,071	9,354
სავაჭრო მოთხოვნები	14	12,056	14,514
ძიების და შეფასების აქტივები		10,836	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	57,656	52,866
გრძელვადიანი აქტივები		**3,640,832**	**3,684,990**
მარაგები		62,318	61,861
სასესხო მოთხოვნა		205	2,074
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	13	111,327	101,447
სავაჭრო მოთხოვნები	14	374,610	275,048
მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები		-	8,161
ვადიანი ანაბრები		3,254	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	301,144	466,887
მოკლევადიანი აქტივები		**852,858**	**915,478**
სულ აქტივები		**4,493,690**	**4,600,468**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	100,000	100,000
მესაკუთრის შენატანები	16	2,152,187	2,145,965
დაგროვილი დეფიციტი		(693,530)	(832,509)
კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი		**1,558,657**	**1,413,456**
არამაკონტროლებელი წილები		8,895	12,972
სულ კაპიტალი		**1,567,552**	**1,426,428**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	17	1,656,069	1,759,498
საქართველოს მთავრობისგან მიღებული ავანსი	16(d)	46,594	46,594
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	18	56,198	53,535
გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,758,861**	**1,859,627**
სესხები და კრედიტები	17	865,466	1,080,242
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	215,964	168,940
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	18	55,148	41,006
ვალდებულებები საქართველოს მთავრობის მიმართ	16 (c)	4,718	4,734
ანარიცხები		16,856	19,491
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულებები		9,125	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,167,277**	**1,314,413**
სულ ვალდებულებები		**2,926,138**	**3,174,040**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,493,690**	**4,600,468**

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-73 გვერდებზე

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
უწყვეტი ოპერაციები			
შემოსავალი	5	1,695,931	1,496,776
საოპერაციო ხარჯები	6	(1,137,962)	(921,935)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(226,773)	(207,803)
ცვეთა და ამორტიზაცია		(143,412)	(147,941)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი	11	(1,777)	(24,799)
სხვა შემოსავალი		24,765	31,000
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) სავაჭრო მოთხოვნებზე	19	261	(12,174)
გაუფასურების ზარალი სასესხო მოთხოვნებზე		(529)	-
გაუფასურების ზარალი ძირითად საშუალებებზე	8	(7,867)	-
გაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე მეკავშირე საწარმოებში	11	(33,705)	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**168,932**	**213,124**
ფინანსური შემოსავალი	7	249,660	47,679
ფინანსური ხარჯები	7	(282,324)	(528,718)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(32,664)**	**(481,039)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**136,268**	**(267,915)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,366)	(2,207)
მოგება/(ზარალი) უწყვეტი ოპერაციებიდან		**134,902**	**(270,122)**
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება, გადასახადების გამოკლებით	25	-	74,290
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში		**134,902**	**(195,832)**
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		138,979	(189,245)
არამაკონტროლებელ წილებს		(4,077)	(6,587)
		134,902	**(195,832)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 იანვარს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით საგანელიძე	იოსებ მამუკელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი	ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-73 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
უწყვეტი ოპერაციები			
შემოსავალი	5	1,695,931	1,496,776
საოპერაციო ხარჯები	6	(1,137,962)	(921,935)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(226,773)	(207,803)
ცვეთა და ამორტიზაცია		(143,412)	(147,941)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი	11	(1,777)	(24,799)
სხვა შემოსავალი		24,765	31,000
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) სავაჭრო მოთხოვნებზე	19	261	(12,174)
გაუფასურების ზარალი სასესხო მოთხოვნებზე		(529)	-
გაუფასურების ზარალი ძირითად საშუალებებზე	8	(7,867)	-
გაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე მეკავშირე საწარმოებში	11	(33,705)	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**168,932**	**213,124**
ფინანსური შემოსავალი	7	249,660	47,679
ფინანსური ხარჯები	7	(282,324)	(528,718)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(32,664)**	**(481,039)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**136,268**	**(267,915)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,366)	(2,207)
მოგება/(ზარალი) უწყვეტი ოპერაციებიდან		**134,902**	**(270,122)**
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება, გადასახადების გამოკლებით	25	-	74,290
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში		**134,902**	**(195,832)**
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		138,979	(189,245)
არამაკონტროლებელ წილებს		(4,077)	(6,587)
		134,902	**(195,832)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 იანვარს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით სვანაძე
აღმასრულებელი დირექტორი

იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-73 გვერდებზე.

	აქციონერებზე მიკუთვნებადი კაპიტალი					
'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	მესაკუთრის შენატანები	დაგროვილი დეფიციტი	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	100,000	2,749,005	(929,592)	1,919,413	19,559	1,938,972
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(189,245)	(189,245)	(6,587)	(195,832)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან						
მესაკუთრის შენატანები (იხ. შენიშვნა 16(ბ))	-	30,267	-	30,267	-	30,267
არაფულადი აქტივების გატანა	-	(633,307)	286,328	(346,979)	-	(346,979)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**100,000**	**2,145,965**	**(832,509)**	**1,413,456**	**12,972**	**1,426,428**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	100,000	2,145,965	(832,509)	1,413,456	12,972	1,426,428
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	138,979	138,979	(4,077)	134,902
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან						
მესაკუთრის შენატანები (იხ. შენიშვნა 16(ბ))	-	7,857	-	7,857	-	7,857
არაფულადი აქტივების გატანა	-	(1,635)	-	(1,635)	-	(1,635)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**100,000**	**2,152,187**	**(693,530)**	**1,558,657**	**8,895**	**1,567,552**

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-73 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება/(ზარალი)		134,902	(195,832)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		143,412	157,782
მოგების გადასახადის ხარჯი		1,366	2,207
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	32,664	441,935
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი		1,777	24,799
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (აღდგენა)/ზარალი		(261)	12,174
გაუფასურების ზარალი სასესხო მოთხოვნებზე		529	-
გაუფასურების ზარალი ძირითად საშუალებებზე		7,867	-
გაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე მეკავშირე საწარმოებში		33,705	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლაზე		(4,192)	(3,641)
შემოსავალი მეკავშირე საწარმოში ინვესტიციების გაყიდვიდან		-	(6,404)
სხვა არაფულადი ერთეულები		12,896	(163)
		364,665	**432,857**
ცვლილებები:			
მარაგებში		(2,380)	(7,675)
სავაჭრო მოთხოვნებში და გადახდილ ავანსებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში		(131,600)	(102,082)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		62,816	11,584
გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		17,285	(4,101)
ანარიცხებში		(2,635)	(4,605)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		**308,151**	**325,978**
გადახდილი პროცენტი	17(ხ)	(224,782)	(187,490)
გადახდილი მოგების გადასახადი		(866)	(1,693)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**82,503**	**136,795**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		28,909	25,907
გაცემული სესხების დაფარვა		800	125
ძირითადი საშუალებების შეძენა და ცვლილებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და სხვა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებში		(102,532)	(126,553)
ძიებისა და შეფასების აქტივის შეძენა		(9,170)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		2,902	3,529
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების შეძენა	11	(4,815)	(8,922)
ვადიანი ანაბრების განთავსება		(3,254)	-
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული ანაზღაურება		-	40,431
უმნიშვნელო შვილობილი კომპანიების გასვლა		-	(147)
შეწყვეტილი ოპერაციების გასვლა		-	(114,934)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(87,160)**	**(180,564)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	17(ხ)	2,741,133	13,144
სესხების დაფარვა	17(ხ)	(2,793,616)	(33,590)
პრემია გამოშვებული ობლიგაციების ნაადრევ გამოსყიდვაზე	7	(115,686)	-
სხვა საკომისიო სესხებზე		(10,606)	(8,225)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(178,775)**	**(28,671)**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**(183,432)**	**(72,440)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		466,887	514,747
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		17,689	24,580
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	15	**301,144**	**466,887**

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-73 გვერდებზე.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშვალდებული საწარმო	11
2.	აღრიცხვის საფუძველი	14
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	15
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	16
5.	შემოსავალი	17
6.	საოპერაციო ხარჯები	21
7.	ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	21
8.	ძირითადი საშუალებები	22
9.	საინვესტიციო ქონება	27
10.	გრძელვადიანი აქტივებისთვის და სხვა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	28
11.	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	28
12.	ფინანსური იჯარის მოთხოვნა	30
13.	გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	31
14.	სავაჭრო მოთხოვნები	31
15.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32
16.	კაპიტალი და ვალდებულებები მთავრობის მიმართ	32
17.	სესხები და კრედიტები	34
18.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38
19.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	39
20.	მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები	47
21.	იჯარები	49
22.	კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები	49
23.	პირობითი ვალდებულებები	50
24.	დაკავშირებული მხარეები	52
25.	შეწყვეტილი ოპერაციები	53
26.	შემდგომი მოვლენები	54
27.	შეფასების საფუძველი	55
28.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	55
29.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	73

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს "საპარტნიორო ფონდი" (შემდგომში "ფონდი") წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მდებარეობს საქართველოში.წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად „ჯგუფი“, ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“) ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე ჯგუფის წილს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააქციო საზოგადოებას და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 1(c) და 21.

ფონდი დაფუძნდა 2011 წლის 28 ივნისს, როგორც მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმო „სს საპარტნიორო ფონდის შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად. ფონდი წარმოადგენს საჯარო სექტორში მოქმედ სპეციალიზირებულ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ; მის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, საქართველოს პრემიერ მინისტრის თავმჯდომარეობის ქვეშ. ის შეიქმნა საქართველოს ეკონომიკაში ნაკლებ განვითარებულ მრეწველობებში ინვესტიციების ხელშეწყობის და ქვეყანაში ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით.

ფონდის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კაპიტალისა და სესხის ფინანსირებას საქართველოში მოქმედი კერძო და საჯარო სექტორის კომპანიებისთვის, უპირატესად ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო და უძრავი ქონების სექტორებში არსებული პროექტებისთვის. შემოსავლის ძირითად წყაროდ მოიაზრება დივიდენდები.

ჯგუფის საწარმოების ძირითადი საქმიანობებია გაზის იმპორტი და რეალიზაცია, გაზის და ნავთობის მილსადენების იჯარა, ნავთობის და გაზის ძიება და მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ქვეყნის სარკინიგზო სისტემის ფუნქციონირება, ტვირთის და მგზავრების ტრანსპორტირების და გადატანის მომსახურების გაწევის გზით.

ფონდმა მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებზე კონტროლი მოიპოვა საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 30 ივლისს და 14 აგვისტოს გამოცემული ბრძანებების შემდეგ, რომელთა თანახმადაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის“ 100%-იანი საკუთრების წილი და ყოფილი მეკავშირე საწარმოების - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ დარჩენილი წილი საქართველოს მთავრობამ ფონდის კაპიტალში შეიტანა.

თუმცა, 2020 წლის 28 თებერვალს, საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ფონდის კაპიტალი სს" საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და სს "ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის" საკუთრების (100%-იანი წილი) საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

2020 წლის 6 თებერვალს გამოცემული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ფონდის კაპიტალი და შპს "კლინიკების განვითარების კომპანიის" შვილობილი კომპანიები, იმ მიწასთან და შენობებთან ერთად რომელზეც ისინი ოპერირებენ, საქართველოს მთავრობას გადასცა.

ფონდის იურიდიული მისამართია: ვუკოლ ბერიძის №6, 0108, თბილისი, საქართველო. ფონდის სარეგისტრაციო ნომერია: 404404550.

ფონდი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაშია, რომელსაც საქართველოს მთავრობა („მშობელი კომპანია“, „მესაკუთრე“) წარმოადგენს. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 24-ე შენიშვნაში.

(c) ჯგუფის სტრუქტურა

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდს პირდაპირი და არაპირდაპირი წილები ჰქონდა შემდეგ ორგანიზაციებში:

სახელი	რეგისტრაციის და საქმიანობის ქვეყანა	2021 საკუთრება/ ხმის უფლება	2020 საკუთრება/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და მისი შვილობილი კომპანიები				
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	საქართველო	100%	100%	ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვა, მოპოვება და ძიება და მილსადენების იჯარა
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“	საქართველო	100%	100%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მართვა
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური II"	საქართველო	100%	100%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მართვა
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური III"	საქართველო	100%	0%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მართვა
შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“	საქართველო	100%	100%	მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა და ექსპლუატაცია
GOGC Trading SA	შვეიცარია	100%	100%	ნედლი ნავთობით, ნავთობპროდუქტებით, ნავთობქიმიური ნივთიერებების და სხვა ფართო მოხმარების საქონლით ვაჭრობა
შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“	საქართველო	100%	0%	ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ფლობა
შპს "საქართველოს გაზის ბირჟა"	საქართველო	50%	0%	ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი

სახელი	რეგისტრაციის და საქმიანობის ქვეყანა	2021 საკუთრება/ ხმის უფლება	2020 საკუთრება/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
სს "საქართველოს რკინიგზა" და მისი შვილობილი კომპანიები				
სს "საქართველოს რკინიგზა":	საქართველო	100%	100%	სარკინიგზო გადაზიდვები
შპს „ჯიარ ქონების მართვა‘	საქართველო	100%	100%	ქონების მართვა და განვითარება
შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“	საქართველო	100%	100%	კონტეინერების გადაზიდვა და სატერმინალო მომსახურება
სს „საქართველოს რკინიგზის მშენებლობა“	საქართველო	100%	100%	სამშენებლო და სხვა პროექტები
შპს „ჯორჯიან ტრანზიტი“	საქართველო	100%	100%	ტრანსპორტირების მომსახურება
შპს „ჯიარ ტრანზიტი“	საქართველო	100%	100%	ტრანსპორტირების მომსახურება
შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“	საქართველო	100%	100%	ტრანსპორტირების მომსახურება
შპს „GR Trans Shipment"	საქართველო	100%	100%	ტრანსპორტირების მომსახურება
შპს "პროექტი"	საქართველო	100%	100%	თვითმფრინავებისთვის სათადარიგო ნაწილების წარმოება
სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“	საქართველო	66%	66%	თვითმფრინავებისთვის სათადარიგო ნაწილების წარმოება
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“	საქართველო	100%	100%	კვების მომსახურება
შპს „ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანია“	საქართველო	100%	100%	ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი
შპს „ქართული პროდუქტი“	საქართველო	100%	100%	ტურიზმის განვითარება
შპს „შავი ზღვის პორტი“	საქართველო	100%	100%	პორტის მშენებლობა და ექსპლუატაცია
შპს „ლაგოდეხის სავაჭრო კომპანია“	საქართველო	100%	100%	ლაგოდეხის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და იჯარით გაცემა
შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და იჯარით გაცემა
შპს „სტარტაპ საქართველო“	საქართველო	100%	100%	ვენჩურული კაპიტალი
შპს „იმერეთი გრინერი“	საქართველო	100%	37.65%	სოფლის მეურნეობა/მეურნეობა
შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I"	გაერთიანებული სამეფო	8%	8%	საინვესტიციო ფონდი
შპს „საქართველოს ინდუსტრიული და რეგიონალური განვითარების კომპანია“	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციებს საქართველოში რეგიონულ განვითარებაში
შპს „ლიკანი რეზიდენსი“	საქართველო	100%	100%	რომანოვების სასახლის განახლება ლიკანში
შპს „Global Brand“	საქართველო	100%	100%	ღვინის ექსპორტი აშშ – ში

სახელი	რეგისტრაციის და საქმიანობის ქვეყანა	2021 საკუთრება/ ხმის უფლება	2020 საკუთრება/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
შპს „ინფრასტრუქტურული განვითარების პარტნიორობის კომპანია“	საქართველო	100%	100%	ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტიციების უზრუნველყოფა
შპს "წინანდლის მამულები"	საქართველო	33.43%	33.43%	სასტუმრო და სპა კურორტი სოფელ წინანდალში
Gazelle Fund LP	კანადა	29.11%	29.11%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია წარმოდგენილი საქართველოში და სომხეთში
შპს საპარტნიორო ფონდი-მწვანე განვითარება და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს საპარტნიორო ფონდი-მწვანე განვითარება.	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონების განვითარება
შპს „ჯინო გრინ სიტი კორპორაცია“	საქართველო	49%	49%	უძრავი ქონების განვითარება
შპს „East West Bridge"	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდის ფლობა სვანეთში (საქართველო)
სს "ნენსკრა ჰიდრო"	საქართველო	7.54%	8.07%	ჰიდროელექტროსადგურის განვითარება, მშენებლობა და ექსპლუატაცია
შპს „Caucasian SUS Heritage“	საქართველო	49.90%	49.90%	ღორების ფერმა
სს "ნენსკრა"	საქართველო	100%	100%	ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია
სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“	საქართველო	100%	100%	სასტუმროს მშენებლობა და მართვა
შპს „ჯორჯიან ნატურალ პროდუქტ“	ბელორუსია	100%	100%	ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ექსპორტი
მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის (NCLE)	საქართველო	33.33%	33.33%	საინვესტიციო კომპანია

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

საქართველოს მოსახლეობისთვის ფინანსური ტვირთის შემცირებამ, გაზის გაყიდვის დაბალი ფასების შენარჩუნებით, იმოქმედა სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე", რის შედეგადაც მოხდა ფინანსური და არაფინანსური კოვენანტების დარღვევა EBRD-ის სესხთან დაკავშირებით (იხ. შენიშვნა 17(a)), რამაც კრედიტორს საშუალება მისცა სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა მოეთხოვა. დარღვევის შედეგად, სესხის მთლიანი დაუფარავი ოდენობა კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი, რამაც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მოკლევადიანი ვალდებულებების მოკლევადიან აქტივებთან შედარებით 317,551 ათასი ლარის ოდენობით ზედმეტობა გამოიწვია. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზების გამო:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ხელმძღვანელობა გამსესხებელთან მოლაპარაკებების პროცესშია, რათა მოიპოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი დარღვეული სესხის კოვენანტებისთვის და სესხის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით დაფარვისათვის. რადგან სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" სესხის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დასაფარად საჭირო საკმარისი ოდენობით ფულადი ნაკადების შემოდინებებს გამოიმუშავებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა.

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობასთან განიხილავს გაზის გაყიდვის ფასის ცვლილებას, რათა მომავალში აღარ დაარღვიოს სესხის კოვენანტები. ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ გამოსცა მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ ახლო მომავალში აქვს სურვილი უზრუნველყოს მხარდაჭერა, რაც აუცილებელია რომ სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" შეძლოს მისი საოპერაციო არსებობის გაგრძელება. რადგან სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სესხის ნაადრევი დაფარვის ნაკლებად სავარაუდო მოვლენათა ყველაზე ცუდი განვითარების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს ჯგუფს, მანამ სანამ დაფინანსების ახალი წყარო არ იქნება მოძიებული.

EBRD-ის სესხის ზემოაღნიშნული კოვენანტების დარღვევამ "Credit Europe Bank N.V."-სგან აღებული სესხის ჯვარედინი დეფოლტი გამოიწვია. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, როდესაც სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" (100%-იანი შვილობილი კომპანია) და სს "საქართველოს რკინიგზის" (100%-იანი შვილობილი კომპანია) ნებისმიერ კრედიტორს, დეფოლტის შემთხვევის შედეგად, ენიჭება ფინანსური დავალიანების ვადადამდგარად გამოცხადების და მისი მოთხოვნის უფლება შეთანხმებულ დაფარვის ვადაზე ადრე, "Credit Europe Bank N.V."-ც ასევე უფლებამოსილია სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა მოითხოვოს.

ხელმძღვანელობამ "Credit Europe Bank N.V."-სგან მოიპოვა უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი დარღვეული სესხის კოვენანტებისთვის და სესხის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით დაფარვისათვის, რადგან ჯგუფი, სესხის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დაფარვისთვის საკმარის ფულადი სახსრების ნაკადებს გამოიმუშავებს.

დარღვევის შედეგად, მოხდა სესხის მთლიანი დაუფარავი ნაშთის რეკლასიფიკაცია მოკლევადიანი ვალდებულებების კატეგორიაში, რამაც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებების მოკლევადიან აქტივებთან შედარებით 314,419 ათასი ლარის ოდენობით ზედმეტობა გამოიწვია. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჯგუფის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ფონდის და ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს სამუშაო ვალუტას და შესაბამისად, ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 2(b) – ფუნქციონირებადი საწარმო;
- შენიშვნა 8 (a) - სასესხო ხარჯების კაპიტალიზაციის შეჩერება;
- შენიშვნა 8(c) - ძირითადი საშუალებების გაუფასურება;
- შენიშვნა 12 - ფინანსური იჯარის მოთხოვნა;
- შენიშვნა 17 (a) - მწვანე ობლიგაციების აღიარება;
- შენიშვნა 19(c) - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება ფინანსური აქტივებისთვის;
- შენიშვნა 27 (i) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები;

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 19(c) - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება ფინანსური აქტივებისთვის;
- შენიშვნა 8(c) - ძირითადი საშუალებების გაუფასურება: ანაზღაურებად ოდენობებთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები, მათ შორის, ძირითადი საშუალებების ამოღებადობა და მგრძნობელობის ანალიზი.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- *დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.*
- *დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).*
- *დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).*

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ჯგუფი ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 19(a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2021	2020
შემოსავალი ელექტროენერგიიდან		
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
ელექტროენერგიის გამომუშავება	370,376	308,982
სულ შემოსავალი ელექტროენერგიიდან	**370,376**	**308,982**
შემოსავალი გაზის და ნავთობის გაყიდვიდან და მილსადენების იჯარიდან		
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
გაზის რეალიზაცია	647,465	585,093
შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	24,731	9,471
სხვა შემოსავალი		
გაზის მილსადენების იჯარა	44,567	43,065
ნავთობის ტრანსპორტირების საფასური	27,469	26,348
სულ შემოსავალი გაზის და ნავთობის გაყიდვიდან და მილსადენებიდან	**744,232**	**663,977**
შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან		
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
ტვირთის გადაზიდვა	423,795	389,308
ლოგისტიკური მომსახურება	69,371	54,106
მგზავრთა გადაყვანა*	14,808	11,201
სატვირთო მანქანებზე ტრანსსასაზღვრო დარიცხვა	9,910	14,147
სხვა შემოსავალი		
ვაგონების გაქირავება და სხვა საიჯარო შემოსავალი	4,647	8,838
სულ შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან	**522,531**	**477,600**
შემოსავალი აეროსტრუქტურის ნაწილებიდან		
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
კომპოზიტური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვა	19,348	28,566
სულ შემოსავალი აეროსტრუქტურის ნაწილებიდან	**19,348**	**28,566**
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**39,444**	**17,651**
სულ შემოსავლები	**1,695,931**	**1,496,776**

შემოსავალი ელექტროენერგიიდან

ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი, მოიცავს შემოსავალს გარანტირებული სიმძლავრის საფასურიდან და შემოსავალს ელექტროენერგიის წარმოებიდან. შემოსავალი მთლიანად არის დაკაშირებული შპს "გარდაბნის თბოელექტროსადგურსა" და შპს "გარდაბნის თბოელექტროსადგური II"-თან.

შემოსავალი გაზის და ნავთობის გაყიდვიდან და მილსადენების იჯარიდან

ჯგუფი იჯარით გასცემს გაზის მილსადენს და შესაბამის ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC - სახელმწიფოს 100%-იან საკუთრებაში მყოფი კომპანია, ჯგუფის მიღმა). საიჯარო ხელშეკრულება არის არა-გაუქმებადი და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრამდე. 2020 წლის 1 იანვრიდან ფიქსირებული საიჯარო საფასური შეადგენდა 43,065 ათას ლარს წელიწადში (დღგ-ს გარეშე). 2021 წლის 1 იანვრიდან, ფიქსირებული საიჯარო საფასური შეადგენს 44,500 ათას ლარს წელიწადში (დღგ-ს გარეშე). შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ პასუხს აგებს გაზის ძირითადი მილსადენების სისტემის რემონტზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, ოპერირებასა და უსაფრთხოებაზე. ჯგუფი პასუხს აგებს მხოლოდ კაპიტალურ დანახარჯებზე.

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური გენერირდება ბაქო-სუფსის მილსადენის გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთში ნავთობის ტრანსპორტირებიდან.

შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან

სარკინიგზო ტრანსპორტირება საქართველოში წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიას, თუმცა ფასები არ ექვემდებარება რეგულაციებს მთავრობის მხრიდან. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 1 ივლისს, საქართველოს მთავრობამ საშუალება მისცა ჯგუფს დაეწესებინა ფასები ყველა მიწოდებული მომსახურებისთვის, ტვირთის გადაზიდვის, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებების და მგზავრთა გადაყვანის ჩათვლით.

ტვირთის გადაზიდვაზე ტარიფი განისაზღვრება საერთაშორისო სარკინიგზო ტრანზიტის ტარიფის მიხედვით. ჯგუფი წარმოადგენს „ტარიფის ხელშეკრულების“ თანა-ხელმომწერს სხვა დსთ-ს ქვეყნებთან, ლატვიასთან, ლიეტუვასთან და ესტონეთთან ერთად. ხელშეკრულების მხარეები ატარებენ ყოველწლიურ კონფერენციას მომავალი წლის სატარიფო პოლიტიკის დაწესების მიზნით: თითოეული მხარე აცხადებს შვეიცარულ ფრანკებში დენომინირებულ სარკინიგზო გადაადგილების ტარიფს და ზოგად წესებს, რომლებიც ეხება და ცვლის ტარიფებს. შეთანხმებული ტარიფი მიუთითებს გამოყენებადი ტარიფების მაქსიმალურ დონეს.

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით:

'000 ლარი	სარკინიგზო გადაზიდვები		გაზის მიწოდება		ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება		ძიება-მოპოვების საქმიანობა		სხვა	
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები	2021	2020	2021	2020	2021	2020	2021	2020	2021	2020
ადგილობრივი	507,974	454,615	647,465	585,093	370,376	308,982	24,731	9,471	58,792	46,217
უცხოური	9,910	14,147	-	-	-	-	-	-	-	-
სულ	**517,884**	**468,762**	**647,465**	**585,093**	**370,376**	**308,982**	**24,731**	**9,471**	**58,792**	**46,217**

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მოთხოვნებზე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
"სავაჭრო მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები	365,113	267,021
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	19,507	18,829

ბიზნეს საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფს არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ხასიათისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლების აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

შემოსავლის სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება	შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია და მოხმარებულია საბითუმო მომხმარებლის მიერ. ინვოისები გაიცემა ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის მიხედვით. მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება მრიცხველებით. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება სემეკის დადგენილების მიხედვით და ფიქსირებული ყოველდღიური გადახდები ხორციელდება 2021 წელს, 365 დღიდან 284 დღის განმავლობაში (290 დღე 2020 წელს).
ბუნებრივი აირის გაყიდვა	მომხმარებლები მოიპოვებენ კონტროლს გაზზე, როდესაც ხდება მისი მილსადენების მეშვეობით მომხმარებლებისთვის მიწოდება. ინვოისები გამოიწერება არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. არსებობს გადახდის ორი ძირითადი სახეობა. პირველ შემთხვევაში (რომელიც გაზის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირდება), სახელშეკრულებო პირობების მიხედვით ვალდებულების დაფარვა ნაწილობრივ ხდება ავანსად (არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა) და დარჩენილი თანხის დაფარვა ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	შემოსავალი აღიარდება, როდესაც ხდება გაზის მიწოდება ე.წ. მიწოდების წერტილებში (წერტილები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია „გაზის მიწოდების ხელშეკრულებით“), შესაბამისად შესრულების ვალდებულება გაზის მიწოდებაზე დაკმაყოფილებულია. ოპერაციის ფასი მოიცავს გაზის საფასურს და საურავებს დაგვიანებული გადახდებისათვის (ცვალებადი ანაზღაურება).

შემოსავლის სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
	ხელშეკრულების მიხედვით საურავების დარიცხვა, დაგვიანებით გადახდისთვის, ხდება გადაუხდელ ნაშთზე გადახდის ვადის თარიღის შემდგომი დღიდან. მეორე სახეობაში, გადახდის პირობები ცვალებადია თითოეული კლიენტისთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში გადახდები უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო 25-ე დღისა.	
შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება, როდესაც „ჯგუფი“ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნავთობს „ჯგუფის“ ტერიტორიაზე (EXW – Incoterms). ინვოისი გამოიწერება ნავთობის გაყიდვისას, ხოლო გადახდა ინდივიდუალურ მომხმარებელთან ხელშეკრულებით არის შეთანხმებული.	შემოსავალი ნავთობის გაყიდვიდან აღიარდება, როდესაც ნავთობი გადაცემულია/მიწოდებულია ჯგუფის საწყობიდან მომხმარებლისთვის.
ტვირთის გადაზიდვა, ლოგისტიკური მომსახურება და მგზავრთა გადაყვანა	ტვირთის გადაზიდვის, ლოგისტიკური მომსახურების და მგზავრთა გადაყვანის შემოსავლის წყაროები აღიარდება „დროის განმავლობაში“, რადგან ტრანსპორტირება არის მომსახურება, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელი იღებს და ამავდროულად მოიხმარს სარგებელს ჯგუფის მხრიდან მომსახურების გაწევასთან ერთად. მომხმარებელი სარგებელს იღებს გავლილი მანძილიდან.	შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. დასრულების ეტაპი ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის ფასდება ტრანსპორტირების დასრულებამდე დარჩენილი სავარაუდო დროით.
სატვირთო მანქანებზე ტრანსსასაზღვრო დარიცხვა	სატვირთო მანქანებზე ტრანსსასაზღვრო მომსახურების დარიცხვის ნაკადი აღიარდება „დროის განმავლობაში“, რადგან ის წარმოადგენს მომსახურებას, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელი იღებს და ამავდროულად, მოიხმარს სარგებელს, ჯგუფის მხრიდან მომსახურების გაწევის თანადროულად.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება დროის განმავლობაში, ყოველდღიურად.
კომპოზიტური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვა	კომპოზიტური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც გაყიდვა განხორციელებულია და საქონელზე კონტროლი გადაცემულია.	შემოსავალი დასრულებული საქონლის გაყიდვიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას - ანუ დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა მომხმარებელს - როგორც წესი საქონლის მიწოდებისას.
სხვა შემოსავალი	სხვა შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც გაყიდვა განხორციელებულია და საქონელზე კონტროლი გადაცემულია.	შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც მყიდველი ჩაიბარებს საქონელს ჯგუფის საწყობში.

6. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
გაზისა და ნავთობის თვითღირებულება	918,941	746,056
ელექტროენერგია და მასალები, რომლებიც გამოიყენება სარკინიგზო გადაზიდვებში	54,567	41,411
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	45,946	37,727
ლოგისტიკური მომსახურება	32,918	21,105
ტრანსპორტირება, მასალა, რემონტი და ტექნიკური მომსახურება	11,723	8,893
უსაფრთხოება	9,731	9,917
სატვირთო მანქანებზე ტრანსსასაზღვრო დარიცხვა	4,065	3,688
სხვა*	60,071	53,138
	1,137,962	**921,935**

* ზემოაღნიშნული სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორული ფირმისთვის გადახდილ საფასურს დაახლოებით 1,426 ათასი ლარის ოდენობით (2020: 869 ათასი ლარი)

7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	217,611	-
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით	29,130	24,622
დისკონტის პოზიციის დახურვა დაკავშირებული მხარის მიმართ რესტრუქტურიზებულ მოთხოვნაზე	1,983	2,283
მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	-	13,946
დისკონტის პოზიციის დახურვა ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე	936	6,828
ფინანსური შემოსავალი	**249,660**	**47,679**
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(162,779)	(192,886)
პრემია გამოშვებული ობლიგაციების ნაადრევ გამოსყიდვაზე (შენიშვნა 17)	(115,734)	-
მოდიფიცირებით განპირობებული ზარალი ფინანსურ ინსტრუმენტებზე	(1,927)	(1,009)
დისკონტის პოზიციის დახურვა რესტრუქტურიზებულ ვალდებულებებზე	(987)	(1,225)
სხვა ფინანსური ხარჯები	(897)	(3,961)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	-	(329,637)
ფინანსური ხარჯები	**(282,324)**	**(528,718)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(32,664)**	**(481,039)**

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწები, შენობა-ნაგებობები	სარკინიგზო ინფრასტრუქტურა	ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული	გაზის და ნავთობის მილსადენები	ნავთობის ჭაბურღილები	ელექტროგა დამცემი ხაზები	ტრანსპორტი, მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები*	სულ
თვითღირებულება ან დასაშვები საწყისი ღირებულება									
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,002,145	981,565	400,198	451,242	29,827	462,408	2,019,736	2,247,729	7,594,850
შესყიდვები	4,432	2,857	2,239	1,604	-	899	14,191	198,282	224,504
გასვლები და ჩამოწერები	(3,770)	(2,545)	-	-	-	-	(6,177)	(5,618)	(18,110)
შვილობილ კომპანიაში საკუთრების წილის გასვლა (8(e))	(244,099)	-	-	-	-	(547,477)	(905,869)	(171,156)	(1,868,601)
გადაცემები/ რეკლასიფიკაცია	3,415	37,975	505,879	20,603	-	84,170	9,586	(661,628)	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**762,123**	**1,019,852**	**908,316**	**473,449**	**29,827**	**-**	**1,131,467**	**1,607,609**	**5,932,643**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	762,123	1,019,852	908,316	473,449	29,827	-	1,131,467	1,607,609	5,932,643
შესყიდვები	9,333	472	5,247	-	-	-	6,569	71,586	93,207
გასვლები და ჩამოწერები	(2,889)	(4,441)	-	-	-	-	(642)	(629)	(8,601)
გადაცემები/ რეკლასიფიკაცია	17,960	13,067	(17,465)	-	-	-	8,989	(22,551)	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**786,527**	**1,028,950**	**896,098**	**473,449**	**29,827**	**-**	**1,146,383**	**1,656,015**	**6,017,249**
ცვეთა და გაუფასურების ზარალები									
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	294,768	604,670	81,603	193,315	27,079	246,028	1,176,203	615,286	3,238,952
წლის ცვეთა	4,394	38,382	36,076	18,619	585	2,676	52,697	-	153,429
გასვლები და ჩამოწერები	(665)	(2,012)	-	-	-	-	(4,330)	(52)	(7,059)

'000 ლარი	მიწები, შენობა-ნაგებობები	სარკინიგზო ინფრასტრუქტურა	ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული	გაზის და ნავთობის მილსადენები	ნავთობის ჭაბურღილები	ელექტროგა დამცემი ხაზები	ტრანსპორტი, მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები*	სულ
შვილობილ კომპანიაში საკუთრების წილის გასვლა (8(e))	(49,271)	-	-	-	-	(248,704)	(432,391)	(18,210)	(748,576)
ცვეთისა და გაუფასურების ხელახალი განაწილება	2,642	8,976	-	-	-	-	(19,845)	8,227	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**251,868**	**650,016**	**117,679**	**211,934**	**27,664**	**-**	**772,334**	**605,251**	**2,636,746**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	251,868	650,016	117,679	211,934	27,664	-	772,334	605,251	2,636,746
წლის ცვეთა	3,911	30,093	47,291	19,422	386	-	38,157	-	139,260
გასვლები და ჩამოწერები	(685)	(4,612)	-	-	-	-	(400)	-	(5,697)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	132	7,735	7,867
გადაცემები/რეკლას იფიკაცია	1,136	-	(1,136)	-	-	-	-	-	-
ცვეთისა და გაუფასურების ხელახალი განაწილება	(4)	639	-	-	-	-	11	(646)	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**256,226**	**676,136**	**163,834**	**231,356**	**28,050**	**-**	**810,234**	**612,340**	**2,778,176**
საბალანსო ღირებულებები									
2020 წლის 1 იანვარს	707,377	376,895	318,595	257,927	2,748	216,380	843,533	1,632,443	4,355,898
2020 წლის 31 დეკემბერს	510,255	369,836	790,637	261,515	2,163	-	359,133	1,002,358	3,295,897
2021 წლის 31 დეკემბერს	**530,301**	**352,814**	**732,264**	**242,093**	**1,777**	**-**	**336,149**	**1,043,675**	**3,239,073**

* 105,995 ათასი ლარის ოდენობით დაუმონტაჟებელი მოწყობილობები (2020: 105,877 ათასი ლარი) იმ გაზის მილსადენებსა და ტურბინებს მოიცავს, რომლებიც ჯერ არ არის ექსპლუატაციაში შესული. იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარი არ არის განვითარებული, თითქმის შეუძლებელია თბოელექტროსადგურების ნაწილების სასწრაფო წესით შეძენა, გადაუდებელ სიტუაციებში, შესაბამისად ჯგუფს უწევს დამატებითი მარაგის შენახვა. დაუსრულებელი მშენებლობა ძირითადად შედგება გაზის მილსადენებთან და ძირითადი ხაზის მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებულ მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოებისგან.

(a) დაუმთავრებელი მშენებლობა

2010 წლის ბოლოსთვის, ჯგუფმა დაიწყო რკინიგზასთან დაკავშირებული ორი დიდი კაპიტალური პროექტი: ძირითადი ხაზის მოდერნიზაცია და თბილისის შემოვლითი გზა. ჯგუფმა დაიწყო ზემოაღნიშნული პროექტები 2010 წლის სექტემბერში და 2010 წლის ნოემბერში, შესაბამისად. 2010 წელს ჯგუფმა გამოუშვა არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები ზემოაღნიშნული პროექტების ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით. 2012 წლის განმავლობაში, ჯგუფმა დაიბრუნა 2010 წელს გამოშვებული ობლიგაციები ახალი ობლიგაციების გამოშვების გზით, ზოგადი კორპორატიული და ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის (იხ. შენიშვნა 17(a)).

2021 და 2020 წლებში, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არ ყოფილა კაპიტალიზირებული მოდერნიზაციის პროექტზე შესრულებული სამუშაოების მნიშვნელოვნად შენელების გამო, რაც ძირითადად დაკავშირებულია COVID-19 პანდემიასთან საქართველოში.

(b) თბილისის შემოვლითი გზის პროექტის („პროექტი“) გაუფასურება

2013 წლის ივნისში, ჯგუფმა გამოაცხადა გადაწყვეტილება თბილისის შემოვლითი გზის პროექტის შეცვლის შესახებ. ჯგუფმა აწარმოა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან და ძირითად მესამე მხარის სამშენებლო კომპანიებთან პროექტის შენახვის გეგმის შესათანხმებლად, ცვლილების განხორციელების პერიოდის განმავლობაში. ყველა დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად იქნა დასრულებული 2013 წლის ოქტომბრის ბოლოს და შემდგომი მშენებლობა იქნა შეჩერებული. 2013 წლის ოქტომბრიდან ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები აღარ ყოფილა კაპიტალიზებული.

2014 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ თბილისის შემოვლითი გზის პროექტის მშენებლობის შეჩერება გაგრძელდება 18 თვის განმავლობაში, მანამ სანამ საბოლოო შეცვლილი პროექტი არ იქნება წარდგენილი.

2016 და 2015 წლების განმავლობაში, ჯგუფი თბილისის მერიასთან და საქართველოს მთავრობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს პროექტის დასრულების სხვადასხვა ვარიანტების განხილვით. ერთ-ერთი განხილული ვარიანტი მოიცავდა საწყისი შემოვლითი გზის ადგილმდებარეობის ცვლილებას, რის გამოც არსებული შემოვლითი ინფრასტრუქტურა შეიძლება გამხდარიყო არასაჭირო. ალტერნატიული ვარიანტები ასევე მოიცავდა არსებული ინფრასტრუქტურის მომავალი გამოყენების განსაზღვრას, მისი ზედმეტობის შემთხვევაში. ინფრასტრუქტურის მომავალი გამოყენების ვარიანტები იყო შემოვლითი საავტომობილო გზა, მსუბუქი რკინიგზა/თბილისის მეტროს სისტემის გაგრძელება, ტვირთის დეპო, და ა.შ. თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს მთავრობას არ ჰქონდა თბილისის შემოვლითი გზის პროექტის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული.

არსებული პროექტის გაგრძელებასთან ან ახალი ვარიანტების დანერგვასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობების არსებობის გამო, პროექტის მიმდინარე გამოყენების ცვლილების და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელობა არ ელის, რომ პროექტი მოუტანს ჯგუფს, ინდივიდუალურად ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან ერთად, რაიმე მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, 2017 წელს პროექტის საბალანსო ღირებულება ჩამოწერილ იქნა 382,616 ათასი ლარით მის ანაზღაურებად ღირებულებამდე - 14,689 ათას ლარამდე, დაუმთავრებელ მშენებლობაში ჩართული მიწის სახით.

2021 და 2020 წლების განმავლობაში, ადგილი არ ჰქონია მოვლენებს ან ცვლილებებს გარემოებებში, რომლებიც პროექტის აქტივების საპირწონედ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალების აღდგენას გამოიწვევდა.

(c) ძირითადი საშუალებების გაუფასურება (თბილისის შემოვლითი გზის პროექტის გარდა)

სს "საქართველოს რკინიგზა":

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ჯგუფის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე დაბალია ან ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა საქართველოს რკინიგზის ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების მომცველი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა, გადაზიდვების ოდენობის (5,899 მილიონი მეტრული ტონა ტვირთიდან კილომეტრზე 2012 წელს 2,747 მილიონ მეტრულ ტონამდე კილომეტრზე 2018 წელს) და ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული შემოსავლის (350,749 ათასი ლარი 2012 წელს და 241,572 ათასი 2018 წელს) არსებითი კლების გამო. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, ჯგუფმა 2018 წელს აღიარა 691,387 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი და გაუფასურების ზარალი განაწილებულ იქნა ძირითადი საშუალებების ერთეულებზე წილობრივ საფუძველზე, მაგრამ არანაკლებ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ინდივიდუალური ერთეულების გაყიდვის თვითღირებულება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დაფუძნებულია მის გამოყენებით ღირებულებაზე, რომელიც განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის უწყვეტი მოხმარებიდან წარმოშობილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

2020 წელს, ჯგუფმა გადახედა თავის ზოგიერთ მნიშვნელოვან დაშვებას ზრდის გრძელვადიან პერსპექტივებთან დაკავშირებით, ბაზარზე ახალი მოვლენების განვითარების შედეგად, რომლებიც ჯგუფის მხრიდან კონტროლს არ ექვემდებარება. შედეგად, ჯგუფმა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ჩაატარა გაუფასურებაზე ტესტირება. შედეგად, არც დამატებითი გაუფასურება, არც ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა არ ყოფილა აღიარებული.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ ბასს 36-ის მიხედვით გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები (გარე და შიდა) და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურებაზე ტესტირების ჩატარების აუცილებლობა, რაც 2021 წლის განმავლობაში საბაზრო ტენდენციებში არსებითი ცვლილებებით არის გამოწვეული და იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ჩატარებულმა გაუფასურებაზე ტესტირებამ გამოავლინა მგრძნობელობა ძირითად დაშვებებში ცვლილებების მიმართ. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ ჩაატარა ახალი გაუფასურებაზე ტესტირება. შედეგად, არც დამატებითი გაუფასურება, არც ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა არ ყოფილა აღიარებული.

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის შემდეგი ძირითადი დაშვებები გამოიყენება:

- ფულადი ნაკადები პროგნოზირებულია ფაქტობრივი საოპერაციო შედეგებისა და ფულადი ნაკადების საფუძველზე ხუთი წლის განმავლობაში და შემდგომში ტერმინალური ზრდის ტემპის საფუძველზე. გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი ტერმინალური პერიოდისთვის განისაზღვრება, როგორც ჯგუფის ოპერაციებზე გავლენის მქონე, საქართველოს და რეგიონის მიახლოებითი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზი.

- მოცულობები იგეგმება 2022 წლის განმავლობაში ბიუჯეტირებული ოდენობების მიხედვით, კორექტირებული საქართველოს მშპ-ს ზრდის 5.2%-5.8%-იან განაკვეთებზე საპროგნოზო წლების განმავლობაში. მოცულობის ზრდა არ არის მოსალოდნელი 2026 წლიდან. ზემოთ მოცემულ ოდენობებზე გამოსაყენებელი ტარიფი იგეგმება 2022 წლისთვის თითო მეტრულ ტონაზე თითო კილომეტრზე ბიუჯეტირებული ტარიფის მიხედვით, კორექტირებული აშშ-ს სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროგნოზების ცვლილების მიხედვით. პროგნოზების მიხედვით დაიგეგმა 4.3%-იანი და 1.9%-იანი ზრდა პირველი ორი საპროგნოზო წლის განმავლობაში და 2.2%-იანი ზრდა დარჩენილი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში;
- ფულადი ნაკადები მოიცავს ყოველწლიურ ტექნიკური მხარდაჭერის კაპიტალურ დანახარჯებს და ძირითადი ხაზის მოდერნიზაციის პროექტის დასასრულებლად განხორციელებულ გადახდებს. ფულადი ნაკადების დაგეგმილი გადინებები მოიცავს ზემოთ ხსენებულ მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებულ 52.1 მილიონ აშშ დოლარს.
- გადასახადებამდე დისკონტირების 10.76%-იანი განაკვეთი გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მოთხოვნილ ამონაგების განაკვეთს მსგავსი კომპანიების აშშ დოლარში დენომინირებულ ინვესტირებულ კაპიტალზე. გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი ტერმინალური პერიოდისთვის უახლოვდება გრძელვადიანი ინფლაციის პროგნოზს აშშ დოლარისთვის, რომელიც არის 2.04%.

ძირითადი დაშვებები, რომელთა მიმართაც გაუფასურების მაჩვენებლის ანალიზი არის ყველაზე მგრძნობიარე, არის:

- დისკონტირების განაკვეთი – გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის 1%-იანი ზრდა გამოიწვევდა დაახლოებით 135,000 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს.
- მოცულობის ზრდა – გამოყენებული ტრანსპორტირებული მოცულობების პროგნოზების 5%-იანი შემცირება გამოიწვევდა დაახლოებით 66,000 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს.
- ტერმინალური ზრდა - გამოყენებული ტერმინალური ზრდის განაკვეთის 1%-იანი შემცირება გამოიწვევდა დაახლოებით 84,000 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს.

<u>სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“</u>

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები ბასს 36 "აქტივების გაუფასურება" მოთხოვნების შესაბამისად და გამოავლინა მინიშნება იმისა, რომ შპს "საქართველოს გაზსაცავის კომპანიის" (ჯგუფის 100%-იანი შვილობილი კომპანია) ძირითადი საშუალებები შეიძლება იყოს გაუფასურებული. არსებული მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის გაგრძელებასთან ან ახალი ვარიანტების დანერგვასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობების არსებობის გამო და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელობა არ ელის, რომ არსებული აქტივები (წარმოადგენს ძირითადად ტექნიკურ-ეკონომიკურ და საინჟინრო კვლევებს, რომლებიც კაპიტალიზირებულია დაუმთავრებელ მშენებლობაზე) მოუტანს შპს "საქართველოს გაზსაცავის კომპანიას", ინდივიდუალურად ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან ერთად, რაიმე მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, 4,987 ათასი ლარის ოდენობით, ჩამოწერილ იქნა მის ანაზღაურებად ღირებულებამდე - 499 ათას ლარამდე, რაც მიწას წარმოადგენს.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, გაუფასურების სხვა მაჩვენებლები არ ყოფილა გამოვლენილი.

(d) უზრუნველყოფა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონება საბალანსო ღირებულებით 70,252 ათასი ლარი (2020 წლის 31 დეკემბერი: 72,494 ათასი ლარი) დაგირავებულია უზრუნველყოფილ სესხთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 17).

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები და სხვა ერთეულები) საბალანსო ღირებულებით 121,614 ათასი ლარი (2020: 126,491 ათასი ლარი) იქნა დაგირავებული ადგილობრივი ქართული ბანკებისგან აღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფის სახით (იხ. შენიშვნა 17).

(e) შვილობილ კომპანიაში საკუთრების წილის გასვლა

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფონდის მესაკუთრის შენატანი იქნა შემცირებული 437,520 ათასი ლარით სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე" (100%-იანი საკუთრების წილი) და სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე" (100%-იანი საკუთრების წილი) საკუთრების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). შესაბამისად, ზემოაღნიშნული ოპერაციის შედეგად, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 994,531 ათასი ლარით შემცირდა.

2020 წლის ივნისში, დაიწყო შპს "კლინიკების განვითარების კომპანიის" (შპს "CDC") ლიკვიდაციის პროცედურები, რის შემდეგაც ფონდის 100%-იანი საკუთრება ინვესტიციაში სრულად იქნა გაუქმებული. შპს "კლინიკების განვითარების კომპანიის" შვილობილი კომპანიები, იმ მიწასთან და შენობებთან ერთად, რომელზეც ისინი ოპერირებენ, სრულად იქნა გადაცემული საქართველოს მთავრობაზე, საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 6 თებერვალს გამოცემული გადაწყვეტილების მიხედვით. შესაბამისად, ფონდის მესაკუთრის შენატანის რეზერვი იქნა შემცირებული 140,006 ათასი ლარით, ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება იქნა შემცირებული 125,494 ათასი ლარით და 11,864 ათასი ლარით, შესაბამისად. შპს "CDC"-ს ერთადერთი მიზანი იყო შვილობილი კომპანიების საავადმყოფოების და დაკავშირებული უძრავი ქონების მართვა.

9. საინვესტიციო ქონება

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი 1 იანვარს	**103,457**	**134,864**
შესყიდვები	6,331	24,557
შვილობილ კომპანიაში საკუთრების წილის გასვლა (8(e))	-	(11,864)
გასვლები	(1,537)	(44,100)
ნაშთი 31 დეკემბერს	**108,251**	**103,457**

2021 წელს, შესყიდვები მოიცავს 6,331 ათასი ლარის ოდენობით სამართლიანი ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთების და შენობების შენატანებს კაპიტალში (2020: 24,557 ათასი ლარი).

2021 წელს, საინვესტიციო ქონების დამატებების კატეგორიაში შემავალი ძირითადი ერთეულებია: დიდ ლილოში მდებარე მიწა (4,991 ათასი ლარი), თბილისში მდებარე მიწა (501 ათასი ლარი) და ჩაქვში მდებარე დაუმთავრებელი შენობა შესაბამისი მიწით (839 ათასი ლარი), რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობისგან. 2020 წელს, ძირითადი დამატებები მოიცავს თბილისში მდებარე დაუმთავრებელ შენობას და დაკავშირებულ მიწის ნაკვეთს (18,472 ათასი ლარი). ამასთანავე, საინვესტიციო ქონება მოიცავს ქობულეთში მდებარე მიწის ნაკვეთებს (18,711 ათასი ლარი).

2020 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დაებრუნებინა საქართველოს მთავრობისთვის 67 მიწის ნაკვეთი მთლიანი ფართობით 1,437,424 კვ.მ. გადაცემული მიწების საბალანსო ღირებულება იყო 44,100 ათასი ლარი. შესაბამისად, ჯგუფის "მესაკუთრის შენატანის რეზერვი" იქნა შემცირებული ზემოაღნიშნული ოდენობით.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მისი საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებები, გონივრულ ფარგლებში არის მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებებთან. სამართლიანი ღირებულება განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს, შეფასების მეთოდებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებების გამო.

10. გრძელვადიანი აქტივებისთვის და სხვა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები *	87,650	63,719
სხვა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	2,826	1,039
სულ გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	**90,476**	**64,758**
სამშენებლო მასალები სარკინიგზო ინფრასტრუქტურისთვის	35,058	26,084
არამატერიალური აქტივები	20,386	24,704
სხვა	2,212	2,078
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	**57,656**	**52,866**

*სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები ძირითადად უკავშირდება თბილისის შემოვლითი გზის პროექტს, რომელიც იყო შეჩერებული 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის შეფასებით, გადახდილი ავანსები სრულად არის ანაზღაურებადი უცხოური ბანკისგან მიღებული შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების გარანტიის საფუძველზე.

11. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი 1 იანვარს	64,182	114,084
გაუფასურების ზარალი	(33,705)	-
შენატანები მეკავშირე საწარმოში	4,815	8,922
მოგებაში ან ზარალში აღიარებული „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ ჯგუფის ზარალის წილი	(1,777)	(24,799)
კლება ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში/ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში	-	(40,431)
წილების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები	-	6,406
ნაშთი 31 დეკემბერს	**33,515**	**64,182**

ჯგუფის არცერთი მეკავშირე საწარმო არ წარმოადგენს საჯაროდ რეგისტრირებულ საწარმოს და შესაბამისად, მათ არ აქვთ გამოცემული ფასის კოტირებები.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" მოძრაობის შესახებ 2021 წლის განმავლობაში. 1(c) შენიშვნაში წარმოდგენილი ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წარმოადგენს არა-აქტიურ კომპანიებს, ბიზნეს საქმიანობის გარეშე და ისინი არ ქმნიან არანაირი სახის შემოსავალს.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში წილების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები იქნა აღიარებული, როგორც სხვა შემოსავალი კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმო	საკუთრება 2021	საკუთრება 2020	ბიზნეს საქმიანობა	'000 ლარი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	'000 ლარი შენატანი	'000 ლარი ფონდზე მიკუთვნებადი მოგება (ზარალი)	'000 ლარი გაუფასურება	'000 ლარი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს
სს "ნენსკრა ჰიდრო"	7.5%	8.07%	სვანეთში (საქართველო) ჰიდროელექტროსადგურის განვითარება, მშენებლობა და ექსპლუატაცია	34,706	-	(1,001)	(33,705)	-
შპს "წინანდლის მამულები"	33.43%	33.43%	სასტუმრო და სპა კურორტი სოფელ წინანდალში	11,382	-	(2,159)	-	9,223
Gazelle Fund LP	29.10%	29.10%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია წარმოდგენილი საქართველოში	10,719	3,552	986	-	15,257
შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I"	8%	8%	საინვესტიციო ფონდი	7,041	1,263	37	-	8,341
შპს „Caucasian SUS Heritage“	49.9%	49.9%	ღორების ფერმა	334	-	360	-	694
				64,182	**4,815**	**(1,777)**	**(33,705)**	**33,515**

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი სს „ნენსკრა ჰიდროს" (საწარმო) ხმის მიცემის უფლების 20%-ზე ნაკლებს ფლობდა, ჯგუფის ხელძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწარმოს მმართველ ორგანოზე არსებითი წარმომადგენლობის გამო (საწარმოს საზედამხედველო საბჭო 6 წევრისგან შედგება, საიდანაც ოთხი K-water-ის მიერ და ორი წევრი ჯგუფის მიერ არის დანიშნული), ჯგუფს აქვს უფლება საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკების შესახებ გადაწყვეტილებებში მიიღოს მონაწილეობა და შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მას ჰქონდა უნარი არსებითი ზეგავლენა მოეხდინა საწარმოზე.

(a) სს "ნენსკრა ჰიდროში" განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება

ხელმძღვანელობა "ნენსკრა ჰიდროს" პროექტის გაშვებას 2020 წელს გეგმავდა. თუმცა, 2018 წელს საინჟინრო, შესყიდვებისა და სამშენებლო ხელშეკრულების („EPC ხელშეკრულება“) შეწყვეტის და 2020 წელს COVID-19 პანდემიის აფეთქების გამო, პროექტის დასრულება გადაიდო 2025 წლამდე და სავარაუდოდ, კვლავ გადაიდება 2027 წლამდე.

EPC ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სს "ნენსკრა ჰიდროს" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა ტენდერი პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ახალი EPC კონტრაქტორის შესარჩევად სატენდერო პროცესი დაიწყო 2018 წლის ნოემბერში, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების, პოტენციური კრედიტორების („კრედიტორების ჯგუფი“) სახელმწიფო შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ახალი EPC ხელშეკრულების გაფორმებას და შესრულებას 2020 წლის მაისში მოელოდა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2020 წლის ივნისში იგეგმებოდა. ამასთანავე, რადგან დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან დამოკიდებულია ახალი EPC ხელშეკრულების შესრულებაზე, მოსალოდნელი იყო, რომ ფინანსური დახურვა იქნებოდა მიღწეული ახალი EPC ხელშეკრულების შესრულების შემდეგ, 2020 წელს. თუმცა, მოლაპარაკებები პრეტენდენტთან და კრედიტორების ჯგუფთან შეწყდა შემდეგი მიზეზების გამო:

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო, მათ შორის საქართველოშიც. ამან, თავის მხრივ, ასევე უარყოფითად იმოქმედა სს "ნენსკრა ჰიდროზე", ახალი EPC ხელშეკრულების შესრულების დაგვიანების და ასევე ფინანსური დახურვის გადადების გამოწვევის მხრივ.

გარდა ამისა, "განხორციელების შესახებ ხელშეკრულებაში" წარმოდგენილი თავდაპირველი ვადების მიხედვით, ფინანსური დახურვა და FNTP-ს გაცემა (სრული შეტყობინება სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით) EPC კონტრაქტორზე, რათა გააგრძელოს ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც დაგეგმილი იყო არაუგვიანეს 30 თვისა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (2015 წლის 31 აგვისტო), ანუ 2018 წლის თებერვალი. თუმცა, ზემოაღნიშნულიო ვადები ჯერ არ არის შესრულებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა დათქმული ვადა ვერ შესრულდა და არსებობს სირთულეები ახალი EPC ხელშეკრულების შესრულებასთან და ფინანსურ დახურვასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ არსებობს გაუფასურების მაჩვენებლები და მან ჩაატარა გაუფასურებაზე ტესტირება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის. შედეგად, ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ინვესტიცია სს "ნენსკრა ჰიდროში" არის სრულად გაუფასურებული და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის აღიარა 33,705 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი.

12. ფინანსური იჯარის მოთხოვნა

1996 წელს საქართველოს მთავრობამ დადო 30-წლიანი გარიგება ნავთობის კომპანიების კონსორციუმთან, რომელმაც იკისრა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სუფსის ნავთობტერმინალამდე ნავთობის მილსადენის სისტემის მშენებლობის და განვითარების ვალდებულება. გარიგების საფუძველზე ნავთობის კომპანიებს მიენიჭათ მითითებული მილსადენის სისტემით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების უფლება. მილსადენი საქართველოს სახელმწიფო ქონება გახდა. ამ მილსადენის საკუთრების უფლება გადაეცა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას 2010 წლის ივნის-ივლისში საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით.

მილსადენით მოსარგებლე ნავთობკომპანიებისგან „ჯგუფი“ იღებს სატრანზიტო საფასურს ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეულ ბარელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას დაწყების თარიღიდან, იმის გამო, რომ საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას.

„ჯგუფმა“ აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა 39,229 ათასი ლარის ოდენობით იმ თარიღში, როდესაც საკუთრების უფლება მილსადენებზე გადაეცა „ჯგუფს“. ფინანსური იჯარის მოთხოვნა წარმოადგენს წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას იჯარაში, რომელიც აქტივების არაუზრუნველყოფილი ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას მოიცავდა იჯარის ვადის ბოლოს, რომელიც დისკონტირდება იჯარაში არსებული საპროცენტო განაკვეთით. 230,070 ათასი ლარის სხვაობა იჯარაში წმინდა ინვესტიციების ნომინალურ და მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარებულ იქნა კაპიტალში სამართლიანი ღირებულების კორექტირების სახით, მესაკუთრის არაფულადი შენატანისთვის.

'000 ლარი	2021	2020
ფინანსური იჯარის მოთხოვნა 1 იანვარს	79,962	73,134
დისკონტის პოზიციის დახურვა ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე	936	6,828
ფინანსური იჯარის მოთხოვნა 31 დეკემბერს	**80,898**	**79,962**

2021 წლის განმავლობაში ცვლადმა საიჯარო გადახდებმა, რომლებიც დამოკიდებულია კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულ ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ გამოყენებაზე, შეადგინა 27,469 ათასი ლარი (2020: 26,348 ათასი ლარი).

13. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები*	110,697	100,152
სხვა მოთხოვნები	630	1,295
	111,327	**101,447**

*მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების ნაშთი ძირითადად დაკავშირებულია გაზის მომწოდებლებისთვის გადახდილ თანხებთან კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company Limited“-ისთვის 84,544 ათასი ლარის ოდენობით (2020 წელს: 68,173 ათასი ლარი) და კომპანია „Azerbaijan Gas Supply Company Limited“-ისთვის (AGSC) 14,636 ათასი ლარის ოდენობით (2020 წელს 14,980 ათასი ლარი).

14. სავაჭრო მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები		
რესტრუქტურიზებული მოთხოვნები*	12,056	14,514
	12,056	**14,514**
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	603,872	510,898
რესტრუქტურიზებული მოთხოვნები*	2,925	3,204
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(232,187)	(239,054)
	374,610	**275,048**
სულ	**386,666**	**289,562**

*2017 წლის 16 ნოემბერს, ჯგუფმა და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) გააფორმეს ხელშეკრულება მაგისტრალური მილსადენის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის რესტრუქტურიზაციის შესახებ. ხელშეკრულების მხარეებმა შეათანხმეს გადახდის გრაფიკი, რის საფუძველზეც მთლიანი თანხა დაიფარება 2025 წლის ბოლოსთვის. მოთხოვნის რესტრუქტურიზაცია გულისხმობს პირობების არსებით მოდიფიცირებას; შესაბამისად, რესტრუქტურიზაციის თარიღისთვის ჯგუფმა შეწყვიტა არსებული მოთხოვნის აღიარება და აღიარა ახალი აქტივი ახალი პირობების გათვალისწინებით. 2017 წელს, ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას იქნა გამოთვლილი მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული 10.86%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც მიჩნეულ იქნა როგორც საბაზრო განაკვეთი. 2021 წელს, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ განახორციელა გადახდა 5,000 ათასი ლარის ოდენობით, ზემოხსენებული გადახდის გრაფიკის მიხედვით.

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია მე-19-ე შენიშვნაში.

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საბანკო ნაშთები	118,346	218,369
ვადიანი ანაბრები	182,757	248,518
ნაღდი ფული სალაროში	41	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**301,144**	**466,887**

ვადიანი ანაბარი წარმოადგენს ვადიან ანაბარს ბანკებში შეძენის თარიღიდან 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით, მაგრამ რომლებისთვისაც ჯგუფს აქვს ანაბრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან შვიდ დღეში, არსებითი ჯარიმების გადახდის ან პროცენტის დაკარგვის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაბრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაბარს.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-19-ე შენიშვნაში.

16. კაპიტალი და ვალდებულებები მთავრობის მიმართ

(a) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ ფონდის კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის ბრძანებით, ფონდის სააქციო კაპიტალი განისაზღვრა 100,000,000 ჩვეულებრივი აქციით ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

(b) მესაკუთრის შენატანები

2021 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ, 6,830 ათასი ლარის ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთების და 1,027 ათასი ლარის ღირებულების სხვა შენატანები განახორციელა (2020: 9,797 ათასი ლარის ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთების, 16,419 ათასი ლარის ღირებულების მქონე შენობის, 1,604 ათასი ლარის გაზის მილსადენების, 902 ათასი ლარის ელექტროგადამცემი ხაზის, 464 ათასი ლარის მოძრავი ქონების და 1,081 ათასი ლარის ღირებულების სხვა შენატანები) ფონდის კაპიტალის ზრდის სახით, როგორც „მესაკუთრის შენატანები“. შეტანილი ქონების საბალანსო ღირებულება მისი სამართლიანი ღირებულების ტოლი ოდენობით განისაზღვრა.

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ჯგუფის მესაკუთრის შენატანი იქნა შემცირებული 577,526 ათასი ლარით სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე" (100%-იანი საკუთრების წილი), სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე" (100%-იანი საკუთრების წილი) და შპს "კლინიკების განვითარების კომპანიაზე" (შპს "CDC") საკუთრების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

ამასთანავე, 2020 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დაებრუნებინა საქართველოს მთავრობისთვის 67 მიწის ნაკვეთი მთლიანი ფართობით 1,437,424 კვ.მ. გადაცემული მიწების საბალანსო ღირებულება იყო 44,100 ათასი ლარი. შედეგად, "მესაკუთრის შენატანები" იქნა შემცირებული ზემოაღნიშნული ოდენობით. (იხილეთ შენიშვნა 11)

(c) ვალდებულებები მთავრობის მიმართ

ვალდებულებები მთავრობის მიმართ წარმოადგენს ვალდებულებებს ძირითადი საშუალებების სახით, რომლებიც გატანილია კაპიტალის შემცირების სახით, მაგრამ ჯერ არ არის ფორმალურად გადაცემული მთავრობაზე. აღნიშნული ვალდებულებები აღირიცხება მესაკუთრეზე გადასაცემი აქტივების საბალანსო ღირებულებით.

(d) მთავრობისგან მიღებული ავანსი

2012 წლის აპრილში, სს "საქართველოს რკინიგზამ" და საქართველოს მთავრობამ დადეს შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმი. შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმის მიხედვით, მთავრობა დაინტერესებულია და მიზნად ისახავს ჯგუფისგან შეიძინოს დაახლოებით 701,281 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ნაგებობებით, რომელიც გათავისუფლდება, თბილისის ქალაქის ცენტრიდან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოშორების გზით და ახალი შემოვლითი სარკინიგზო მარშრუტის მშენებლობის გეგმავს. გათავისუფლებული მიწების სხვა მიზნებისთვის გამოყენება იგეგმებოდა. მთავრობა დათანხმდა გადაუხადოს ჯგუფს 138 მილიონი შვეიცარული ფრანკის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში მთავრობაზე გადასახდელი დივიდენდების ოდენობის შემცირების გზით.

2012 წელს სს "საქართველოს რკინიგზამ" გამოაცხადა დივიდენდები 231,592 ათასი ლარის ოდენობით (138 მილიონი შვეიცარული ფრანკი). შემდგომ, სს "საქართველოს რკინიგზა" შეუთანხმდა მთავრობას, რომ გამოცხადებული დივიდენდის ოდენობა წარმოადგენს მთავრობისგან მიწის ნაკვეთების მომავალი გაყიდვებისთვის მისაღებ ანაზღაურებას, შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმის მიხედვით. შედეგად, გადასახდელი დივიდენდები კლასიფიცირებულ იქნა როგორც მთავრობისგან მიწის ნაკვეთების გაყიდვისთვის მიღებული ავანსი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, მთავრობას არ მიუღია გადაწყვეტილება მოცემულ ავანსებთან დაკავშირებით და არ არსებობს ნიშნები მთავრობისგან, რომ ეს ოდენობა გადასახდელია მოთხოვნისთანავე. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, არცერთი ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი არ ყოფილა გადაცემული მთავრობისთვის.

(e) განაწილება აქციონერზე

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის განზრახვის, საქართველოს მოსახლეობისთვის გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნების შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობა წარმოადგენს „კომპანიის“ საბოლოო მფლობელს, საქართველოს მთავრობამ დაავალა ამ უკანასკნელს გაეფორმებინა N16 დამატება გაზის გაყიდვის ხელშეკრულებაზე (GSA), რომელიც გაფორმებულია სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტსა (”SGEI”) და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიას“ შორის 2011 წლის 23 დეკემბერს, რამაც გამოიწვია, inter alia, (i) „საქართველოს ნავთობისა და

გაზის კომპანიის“ მხრიდან SGEI-ის მიმართ არსებული მოთხოვნების შემცირება (108,475 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე), SGEI-ის მიერ „კომპანიისგან“ სოციალური გაზის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, 2018-2020 წლებში მოსახლეობაზე მიწოდებული „სოციალური გაზის“ შესაბამის მოცულობებზე და (ii) შესაბამისად, SGEI-ის მიერ, N12 შეთანხმებით (საქართველოს მთავრობასა და სოკარს შორის გაფორმებული 2011 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულების და GSA-ს ცვლილება) გათვალისწინებულ, 2021-2025 წლებში („საკომპენსაციო პერიოდი“) საქართველოს მოსახლეობაზე გაყიდული სოციალური გაზის ყოველ 1,000 კუბურ მეტრზე მისაღებ 15 აშშ დოლარის ფასდაკლებაზე უარის თქმა.

რადგან საქართველოს მთავრობა წარმოადგენს „ჯგუფის“ საბოლოო მფლობელს, და რადგან „ჯგუფის“ მიერ ზემოხსენებული ოპერაცია განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ მფლობელის უფლებამოსილების გამოყენების შედეგად და არ წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესრულებულ ტრანზაქციას, ხელმძღვანელობამ აღრიცხა ეს ოპერაცია კაპიტალში, როგორც „განაწილება მესაკუთრეზე“ და შესაბამისად „ჯგუფის“ გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 108,475 ათასი ლარით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

17. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 19-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	1,540,715	1,637,434
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	89,191	97,759
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	26,163	24,305
	1,656,069	**1,759,498**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების მიმდინარე ნაწილი	8,703	888,055
საფინანსო დაწესებულებებიდან არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	819,104	144,484
საფინანსო დაწესებულებებისგან უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	32,364	46,766
დაკავშირებული მხარისგან არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	937
არაუზრუნველყოფილი სესხები	5,295	-
	865,466	**1,080,242**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები							
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები - გრძელვადიანი	აშშ დოლარი	6.75%	2021	-	-	829,148	828,152
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები - გრძელვადიანი	აშშ დოლარი	7.75%	2022	-	-	1,697,337	1,697,337
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები - გრძელვადიანი	აშშ დოლარი	4.00%	2028	1,546,776	1,543,098	-	-
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები - გრძელვადიანი	აშშ დოლარი	8.50%	მოთხოვნამდე	6,320	6,320	-	-
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან:							
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	აშშ დოლარი	Libor+6.5%	2021	-	-	145,281	144,484
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	ევრო	Euribor+ 4%	მოთხოვნამდე	113,339	108,101	-	-
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	ევრო	3.3%	მოთხოვნამდე	716,914	711,003	-	-
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან:							
არაუზრუნველ-ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	Libor+6.0%	2023	26,163	26,163	25,242	25,242
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან:							
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	აშშ დოლარი	Libor+6.0%	2027	37,469	37,469	40,801	40,955
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	ევრო	5.3%	2026-2034	19,777	19,777	23,535	23,571
უზრუნველყოფილი სესხი Credit Suisse-სგან	აშშ დოლარი	Libor+1.25%	2026	67,460	63,734	79,999	79,999
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	აშშ დოლარი	36%	მოთხოვნამდე	171	171	-	-
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	ლარი	11%	მოთხოვნამდე	404	404	-	-
სხვა:							
არაუზრუნველ-ყოფილი სესხები	ევრო	6-8%	მოთხოვნამდე	5,295	5,295	-	-
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**2,540,148**	**2,521,535**	**2,841,343**	**2,839,740**

უზრუნველყოფილი სესხებისა და კრედიტების გირაო დეტალურად არის აღწერილი მე-8-ე შენიშვნაში.

საქართველოს რკინიგზა

2012 წლის ივლისში, შვილობილმა კომპანიამ ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოუშვა, განათავსა და დაარეგისტრირა (ლისტინგი) 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები, 7.75%-იანი საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადით 2022 წელი.

ზემოთ მოცემული ობლიგაციების ნაწილი გამოყენებულ იქნა ჯგუფის მიერ 2010 წელს გამოშვებული 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების ნაადრევად გამოსყიდვისთვის.

უზრუნველყოფილი სესხი, საბალანსო ღირებულებით 63,734 ათასი ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებულ იქნა მხოლოდ სამგზავრო მატარებლების შეძენის მიზნით. უზრუნველყოფილი სესხი უზრუნველყოფილია შესაბამისი სამგზავრო მატარებლებით, საბალანსო ღირებულებით 70,252 ათასი ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 72,494 ათასი ლარი) (იხილეთ ასევე შენიშვნა 8(d)). 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, წმინდა ვალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტთან დაკავშირებული ფინანსური კოვენანტი იქნა დარღვეული, რამაც საშუალება მისცა გამსესხებელს სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა მოეთხოვა. თუმცა, 2021 წლის 27 დეკემბერს, ჯგუფმა გამსესხებლისგან მოიპოვა უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი აღნიშნულ კოვენანტთან დაკავშირებით. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა აღნიშნული სესხი გრძელვადიანი კრედიტის კატეგორიაში დააკლასიფიცირა (2020 წლის 31 დეკემბერი: ადგილი ჰქონდა იგივე დარღვევას, რომელზეც უარი 2021 წლის 31 დეკემბრამდე იქნა მიღებული).

2021 წლის ივნისში, ჯგუფმა, წარმატებით განათავსა 500 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მწვანე ობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რომელთა დაფარვის ვადა არის 2028 წელი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი არის 4%. გამოშვების შედეგად მიღებული შემოსულობები იქნა გამოყენებული 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოსყიდვისთვის.

ნაადრევი გამოსყიდვის შედეგად, მწვანე ობლიგაციები იქნა მიჩნეული ახალი ფინანსური ინსტრუმენტის სახით და აღირიცხა ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფმა, მწვანე ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით 8,999 ათასი ლარის ოდენობით პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები გასწია, იურიდიული კონსულტაციის საფასურის, სარეიტინგო სააგენტოების ხარჯების, ლისტინგის ხარჯების და ა.შ. ჩათვლით. აღნიშნული ხარჯები აღირიცხა გარიგების ხარჯების სახით და იქნა შეტანილი მწვანე ობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში და ამორტიზებული 7 წელზე. გარიგების ხარჯების ნაწილი პირდაპირ იქნა გამოქვითული მწვანე ობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობებიდან და წარმოდგენილია ობლიგაციებიდან მიღებულ შემოსულობებთან ურთიერთგადაფარული სახით კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, ჯგუფმა გადაიხადა 115.7 მილიონი ლარის ოდენობით პრემია და მოსაკრებელი ახალ ემისიასთან და სატენდერო შეთავაზებასთან და თანხმობის შუამდგომლობასთან დაკავშირებით (ნაადრევი გამოსყიდვის პრემია) (იხ. ასევე შენიშვნა 7), რომლებიც იქნა აღიარებული ხარჯის სახით, რადგან მსგავსი მოსაკრებელი, 2012 წელს გამოშვებული წინა ევროობლიგაციების დაფარვას უკავშირდებოდა.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

EBRD-თან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების შედეგად, 2020 წლის სექტემბერში, შვილობილმა კომპანიამ გააფორმა 10-წლიანი არაუზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება 217 მილიონ ევროზე, 250 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის დასაფარად.

250 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის სრული დაფარვა მოხდა 2021 წლის აპრილში. ევროობლიგაციების დაფარვისთვის გამოყენებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 853,734 ათასი ლარი.

2018 წელს, შვილობილმა კომპანიამ „KfW“-სთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება 150 მილიონ ევროზე, საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დაფინანსებისთვის.

2020 წელს, ფინანსური სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიით, ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 23 აპრილს გამოსცა წერილი, რომლის თანახმად გადაწყდა მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის განკუთვნილი, KfW-სგან მიღებული 150 მილიონი ევროს აუთვისებელი სესხიდან 120 მილიონი ევრო მიემართათ სახელმწიფო ბიუჯეტში, სამთავრობო პროგრამების მხარდასაჭერად, რომელიც ხელს შეუწყობს პანდემიის და მისი შედეგების შემსუბუქებას.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „კომპანიასა“ და KfW-ს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულება იქნა გადახედილი და შემცირებული 150 მილიონი ევროდან 30 მილიონ ევრომდე. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, არცერთი ტრანში არ ყოფილა გამოყენებული და კომპანიამ გადაიხადა სესხის მომსახურების საფასური 204 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულ იქნა ფინანსურ ხარჯებში (2020: 904 ათასი ლარი). 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, წმინდა ფინანსური ვალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტთან დაკავშირებული ფინანსური კოვენანტი იქნა დარღვეული, 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ჯგუფმა გამსესხებლისგან მოიპოვა უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი აღნიშნულ კოვენანტთან დაკავშირებით.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, შვილობილ კომპანიას ჰქონდა წვდომა გამოუყენებელ საკრედიტო ხაზებზე ქართული ბანკებისგან (საკრედიტო ხაზების ლიმიტები შეადგენს 47,500 ათას აშშ დოლარს). წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისათვის, ორივე საკრედიტო ხაზის სახელშეკრულებო ვადა იყო გასული, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, 711,003 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე EBRD-ის სესხთან დაკავშირებული „პროცენტის დაფარვის კოეფიციენტთან“ და წმინდა ფინანსური ვალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტთან დაკავშირებული ფინანსური კოვენანტები იქნა დარღვეული, რამაც გამსესხებელს უფლება მისცა სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა მოეთხოვა. შედეგად, სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულება იქნა რეკლასიფიცირებული მოკლევადიანი ვალდებულებების კატეგორიაში. ამასთანავე, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, ჯგუფმა დაარღვია გამსესხებლისთვის აუდიტირებული ფასს-ების საფუძველზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიწოდების ვადებთან დაკავშირებული არაფინანსური კოვენანტები. ჯგუფი უფლებაზე უარის მოპოვების პროცესშია.

საპარტნიორო ფონდი

2021 წლის სექტემბერში, ფონდმა მიიღო 32,000 ათასი ევროს ოდენობით სესხი (116,572 ათასი ლარის ეკვივალენტური) საერთაშორისო ბანკისგან "Credit Europe Bank". ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სესხი უნდა იქნეს დაფარული 2023 წლის სექტემბერში.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, "ჯვარედინ დეფოლტთან" დაკავშირებული არაფინანსური კოვენანტი იქნა დარღვეული, რამაც საშუალება მისცა გამსესხებელს სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა მოეთხოვა. არაფინანსური კოვენანტის დარღვევა მოხდა "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ზემოაღნიშნული EBRD-ის სესხის გამო. ამასთანავე, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, ფონდმა დაარღვია გამსესხებლისთვის აუდიტირებული ფასს-ების საფუძველზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიწოდების ვადებთან დაკავშირებული სხვა არაფინანსური კოვენანტი. 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ჯგუფმა გამსესხებლისგან მოიპოვა უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი აღნიშნულ კოვენანტთან დაკავშირებით. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, 108,101 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი საბალანსო ღირებულების მქონე სესხი იქნა რეკლასიფიცირებული მოკლევადიანი ვალდებულებების კატეგორიაში.

(ხ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	2021	2020
სესხები და კრედიტები 1 იანვარს	**2,839,740**	**3,495,131**
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	2,741,133	13,144
სესხების დაფარვა	(2,793,616)	(33,590)
სესხები და კრედიტებთან დაკავშირებული გარიგების ხარჯები	(10,606)	-
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	**(63,089)**	**(20,446)**
შვილობილ კომპანიებზე ან სხვა ბიზნეს საქმიანობებზე კონტროლის მოპოვების/(დაკარგვის) შედეგად წარმოშობილი ცვლილებები	**12,190**	**(965,436)**
უცხოური გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენა	(197,003)	311,651
საპროცენტო ხარჯი	162,957	196,928
ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებად კაპიტალიზირებული საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 8 (a))	914	8,393
გადახდილი პროცენტი	(224,782)	(187,490)
მოდიფიცირებით განპირობებული ზარალი ფინანსურ ვალდებულებაზე (იხ. შენიშვნა 17(a))	-	1,009
სხვა	(9,392)	-
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**(267,306)**	**330,491**
სესხები და კრედიტები 31 დეკემბერს	**2,521,535**	**2,839,740**

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	164,944	128,267
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	19,507	18,829
სხვა ვალდებულებები	31,513	21,844
	215,964	**168,940**

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი		
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	56,198	53,535
მოკლევადიანი		
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	55,148	41,006
	111,346	**94,541**

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-19-ე შენიშვნაში.

19. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობის მიერ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების (დაფარვის ვადით 2028 წელი) სამართლიანი ღირებულების შეფასებამ მოგვცა ღირებულებების დიაპაზონი, სამართლიანი ღირებულებიდან, რომელიც თითქმის უტოლდება საბალანსო ღირებულებას, სამართლიან ღირებულებამდე, რომელიც დაახლოებით 5%-ით მეტია ვიდრე საბალანსო ღირებულება.

არსებული მწვანე ობლიგაციები ამჟამად ივაჭრება დაბალი ამონაგებით (დაახლოებით 3.9%), თავდაპირველ 4%-თან შედარებით.

ჯგუფის სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მათი სამართლიანი ღირებულებების გონივრულ მიახლოებას.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 19(c));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 19(d));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 19(e)).

რისკის მართვის სტრუქტურა

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

ფონდის და ჯგუფის საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებს აკისრიათ მთლიანი პასუხისმგებლობა ჯგუფის საწარმოების რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის საწარმოების რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის საწარმოების წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნებთან, სასესხო მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

(i) საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	14	386,666	289,562
სხვა მოთხოვნები		630	1,295
სასესხო მოთხოვნები		8,276	11,428
ვადიანი ანაბრები		3,254	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	301,103	466,887
		699,929	**769,172**

(ii) სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ჯგუფის მომხმარებელთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ქვეყნის და ინდუსტრიის დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებენ მომხმარებლები.

ჯგუფის სარკინიგზო გადაზიდვების მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის და გაზის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 18% და 54% ორ კლიენტს უკავშირდება (შესაბამისად); ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 23% ერთ კლიენტს უკავშირდება.

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით ან კრედიტის გაცემამდე მათი კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, ასევე მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის საშუალებით და ვალის დაუყოვნებელი გადახდის მოთხოვნით, როდესაც ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაჰენტისთვის დაწესებულ, გარკვეულ ზღვარს უახლოვდება. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**2021**	**2020**
ადგილობრივი	377,837	272,011
დსთ-ს ქვეყნები	8,829	17,551
	386,666	**289,562**

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებისათვის საანგარიშგებო თარიღისთვის კლიენტების სახეობების მიხედვით იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**2021**	**2020**
გაზის დისტრიბუტორები	255,271	159,187
ელექტროენერგიის დისტრიბუტორები	95,857	81,353
გაზის მილსადენის საიჯარო ქირა	19,357	22,851
სარკინიგზო გადაზიდვები	13,626	23,281
სხვა	2,555	2,890
	386,666	**289,562**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კლიენტის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება იყო 287,912 ათასი ლარი (2020: 157,403 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის

ჯგუფი ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ (და არა მხოლოდ)) და მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგების განმარტებებთან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	**2021**	**2021**	**2021**
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	**არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული**	**საკრედიტო რისკით გაუფასურებული**	**სულ**
დაბალი რისკი	368,130	-	368,130
საშუალო რისკი	15,716	-	15,716
მაღალი რისკი*	-	235,007	235,007
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**383,846**	**235,007**	**618,853**
ზარალის რეზერვი	(1,248)	(230,939)	(232,187)
	382,598	**4,068**	**386,666**

'000 ლარი მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	2020 არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	2020 საკრედიტო რისკით გაუფასურებული	2020 სულ
დაბალი რისკი	253,479	-	253,479
საშუალო რისკი	19,018	12,967	31,985
მაღალი რისკი*	-	243,152	243,152
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	**272,497**	**256,119**	**528,616**
ზარალის რეზერვი	(853)	(238,201)	(239,054)
	271,644	**17,918**	**289,562**

დაბალი რისკი - მსესხებელს აქვს ძლიერი უნარი მოკლევადიან პერიოდში დააკმაყოფილოს მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფითი ცვლილებები გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ არ შეამცირებს მსესხებლის უნარს დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები. საგარეო საკრედიტო რეიტინგი BB- დან B მდე (Fitch).

საშუალო რისკი - მსესხებელს აქვს რესტრუქტურიზებული ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ნაკადების ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს მსესხებლის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები. რესტრუქტურიზებული მოთხოვნები კლასიფიცირებულია მე-2 ეტაპზე.

მაღალი რისკი - კონტრაჰენტებს, მოკლევადიან პერიოდში აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფითი ცვლილებები გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ შეამცირებს კონტრაჰენტების უნარს დააკმაყოფილონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

*ჯგუფს აქვს 25,205 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი მოთხოვნა საქართველოს მთავრობის მიმართ, რომელიც აღიარებულია საქართველოს მთავრობისთვის ქონების გადაცემის შედეგად, შემოვლითი გზის პროექტის მემორანდუმის თანახმად. ზემოხსენებული მოთხოვნის დაფარვასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იქნა დარიცხული 25,205 ათასი ლარის ოდენობით მთლიან დაუფარავ ნაშთზე 2017 წელს.

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი 1 იანვარს	**239,054**	**240,765**
(წმინდა აღდგენა)/დარიცხვა წლის განმავლობაში	(261)	11,989
შეწყვეტილი ოპერაციების გამო აღიარებაშეწყვეტილი ოდენობები	-	(24,263)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	(6,606)	10,563
ნაშთი წლის ბოლოს	**232,187**	**239,054**

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ.

(iii) სასესხო მოთხოვნები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი არ არის დაქვემდებარებული გაცემულ სესხებთან დაკავშირებულ არსებით საკრედიტო რისკს, რადგან აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის ვადაგადაცილებული 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(iv) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი ანაბრები

ჯგუფი ფლობდა ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ძირითადად ბანკებში რეიტინგით BB- ან უფრო მაღალი, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაჰენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(v) ფინანსური იჯარის მოთხოვნა

ფინანსური იჯარის მოთხოვნის ნაშთი წარმოადგენს საიჯარო ვადის ბოლოს არსებულ არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას დისკონტირებულს იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთით (იხილეთ ასევე შენიშვნა 12). შესაბამისად, ხელძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი არ ატარებს საკრედიტო რისკს და არის ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების ფარგლებს გარეთ. შესაბამისად ფინანსური იჯარის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ ყოფილა აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

(d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. „ჯგუფის“ ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს სესხების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კოვენანტების მონიტორინგს.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს ადგილობრივ ბანკებში აქვს გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები 62,976 ათასი ლარის ოდენობით, რომელთა დაფარვის ვადა არის 2022 წელი (2020 წლის 31 დეკემბერი: 64,766 ათასი ლარი).

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები საანგარიშგებო თარიღისთვის, რაც მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას: არ არის მოსალოდნელი რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

31 დეკემბერი 2021			სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები**	2,521,535	2,915,343	842,142	97,847	349,337	1,626,017
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*	299,327	299,327	-	243,158	56,169	-
	2,820,862	**3,214,670**	**842,142**	**341,005**	**405,506**	**1,626,017**

31 დეკემბერი 2020			სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები		
'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	2,839,740	3,071,443	1,159,109	1,886,482	25,852
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	237,255	244,325	183,752	60,573	-
	3,076,995	**3,315,768**	**1,342,861**	**1,947,055**	**25,852**

*ჯგუფსა და "მოდერნიზაციის პროექტზე" პასუხისმგებელ სამშენებლო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დაწესებულია კონკრეტული პროცენტულობა, რომელიც უნდა დაკავდეს თითოეული შუალედური გადახდიდან (დაკავება), რათა დაიცვას ჯგუფი იმ კონტრაქტორებისგან, რომლებიც ვერ ასრულებენ სათანადოდ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. მსგავსი დაკავება უნდა იქნეს გადახდილი პროექტის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში.

** მე-17-ე შენიშვნაში წარმოდგენილის მიხედვით, ჯგუფს აქვს სესხები, რომელთან მიმართებაშიც მან დაარღვია ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, რაც სესხის მოკლევადიან ვალდებულებად რეკლასიფიკაციას იწვევს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფი EBRD-ის სესხისთვის გამსესხებლისგან უფლებაზე უარის თქმის წერილის მოპოვების პროცესშია და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგ, Credit Europe Bank-ის სესხისთვის მოპოვებული აქვს უფლებაზე უარის თქმის წერილი, ხელმძღვანელობა მოელის, რომ უზრუნველყოფილი სესხის დაფარვა სახელშეკრულებო გრაფიკის მიხედვით განხორციელდება.

მიუხედავად 314,419 ათასი ლარის ოდენობით წმინდა მოკლევადიანი ვალდებულების პოზიციისა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს აქვს წმინდა მოკლევადიანი აქტივების პოზიცია (სესხებისა და კრედიტების გარდა) 551,047 ათასი ლარის ოდენობით. წმინდა მოკლევადიანი ვალდებულების პოზიცია 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფაქტობრივად გამოწვეული იყო სესხებითა და კრედიტებით, რომლებიც კოვენანტების დარღვევის გამო რეკლასიფიცირებული იყო მოკლევადიან ვალდებულებებად (იხილეთ ასევე შენიშვნა 2 (b) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ხელმძღვალობისეული შეფასებისთვის).

(e) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(i) სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები, შესყიდვები და კრედიტები და ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია და დაკმაყოფილებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

„ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2021	ევროში დენომინირებული 2021	აშშ დოლარში დენომინირებული 2020	ევროში დენომინირებული 2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60,756	30	235,641	5
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,189	-	21,016	-
სასესხო მოთხოვნები	8,076	-	11,091	-
სესხები და კრედიტები	(1,676,955)	(844,176)	(2,816,169)	(23,571)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(69,660)	-	(65,891)	-
წმინდა დაქვემდებარება	**(1,664,594)**	**(844,146)**	**(2,614,312)**	**(23,566)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი	
	2021	2020	2021	2020
1 აშშ დოლარი	3.2209	3.1097	3.0976	3.2766
1 ევრო	3.5249	3.5519	3.3772	4.0233

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2021	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(166,459)
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(84,415)

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2020	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(261,431)
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(2,357)

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებულ ვალუტებთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე მითითებული ოდენობებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს ჯგუფი დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას ჯგუფის საწარმოების მმართველი გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2021	2020
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(235,467)	(290,680)
	(235,467)	**(290,680)**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის გაზრდიდა/(შეამცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს (გადასახადების გამოკლებით) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

	მოგება ან ზარალი	
'000 ლარი	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
2021		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(2,355)	2,355
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	**(2,355)**	**2,355**
2020		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(2,907)	2,907
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	**(2,907)**	**2,907**

(f) კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის პროცესში ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით საქმიანობის გაგრძელების უნარის ხელშეწყობა, აქციონერებისთვის ამონაგების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად, ოპტიმალური კაპიტალური სტრუქტურის შენარჩუნება.

ჯგუფი თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები.

სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკა მოიცავს ძლიერი კაპიტალის ბაზის შენარჩუნებას ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინვესტორის, კრედიტორის და ბაზრის ნდობა და შენარჩუნებულ იქნას ბიზნესის მომავალი განვითარება.

ჯგუფის ვალის კაპიტალთან თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

'000 ლარი	2021	2020
სულ ვალდებულებები	2,926,138	3,174,584
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(301,144)	(466,887)
გამოკლებული: ვადიანი ანაბრები	(3,254)	-
წმინდა ვალი	**2,621,740**	**2,707,697**
სულ კაპიტალი	1,567,552	1,426,428
ვალის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბერს	**1.67**	**1.90**

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში ჯგუფის მიდგომის ცვლილებას.

არც ფონდი და არც მისი შვილობილი კომპანიები არ არიან დაქვემდებარებული გარედან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

20. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები

სს „საქართველოს რკინიგზა“ დაფუძნდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს სახით 1998 წლის დეკემბერში, როგორც საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტირების მომსახურების გამწევი პირი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება №929-ის საფუძველზე. სს „საქართველოს რკინიგზის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვეყანაში სარკინიგზო სისტემის მართვა, სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურებისა და განვითარების და ასევე საქართველოში სარკინიგზო ხაზების მშენებლობის გზით.

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" დაფუძნებულია, როგორც 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სამი კომპანიის საფუძველზე: სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია“, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ და სს „თელეთის ნავთობის კომპანია“. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი აირის იმპორტი და გაყიდვა, გაზისა და ნავთობის მილსადენების იჯარა, ნავთობისა და გაზის ძიება და მოპოვება საქართველოს ტერიტორიაზე. 2006 წლის დეკემბერში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ საპრეზიდენტო დადგენილება №736-ით

მიენიჭა „ეროვნული ნავთობის კომპანიის“ სტატუსი და ის მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, იღებს და ყიდის მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს წილს და საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაქტორების მიერ ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფოსა და კონტრაქტორებს შორის გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოებულ ბუნებრივ აირს. 2013 წლის ოქტომბერში, საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიამ და სს „საპარტნიორო ფონდმა“ დააფუძნეს ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოსადგური“ 51% და 49% საკუთრების წილით, შესაბამისად. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გადახდილი საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 175,185 ათას ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 175,185 ათასი ლარი) შეადგენდა. შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის (CCPP) მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით. სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ივლისის თვეში დასრულდა. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა საქმიანობა 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო.

2016 წლის აგვისტოში, შეიქმნა ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოსადგური II“, საწესდებო კაპიტალით 10,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ 100%-იან წილს ფლობს. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, გარდაბანი II-ის საწესდებო კაპიტალი 266,909 ათას ლარს შეადგენს (31 დეკემბერი 2020 წელი: 266,909 ათასი ლარი).

გარდაბნის II კომბინირებული ციკლის თბოსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს და შპს გარდაბნის თბოსადგური II-სა და მშენებლობაზე პასუხისმგებელ კომპანიას შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2020 წლის 28 თებერვალს. ოპერირების ლიცენზია გაცემულ იქნა გარდაბანი II -ზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ, 2020 წლის 25 მარტს. ლიცენზია გაცემულ იქნა შეუზღუდავი პერიოდით და გარდაბანი II თბოსადგურმა დაიწყო შემოსავლის გენერირება საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე დერეგულირებული ტარიფების შესაბამისად.

სს "აეროსტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)" დაარსდა საქართველოში, 2015 წლის მარტში, სს "საპარტნიორო ფონდის", შპს "პროექტის" (ჯგუფის 100%-იანი მესაკუთრე) და შპს "Elbit Systems - Cyclone"-ის მიერ, 33.33%-იანი, 33.33%-იანი და 33.34%-იანი წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად. მხარეები შეთანხმდნენ შვილობილი კომპანიის დარეგისტრირებაზე 60,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ავტორიზებული სააქციო კაპიტალით.

აქციონერთა ხელშეკრულების თანახმად, კონკრეტული გადაწყვეტილებებისთვის საჭიროა ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ჯგუფი აკონტროლებს შვილობილ კომპანიას, რადგან ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვალებად ამონაგებზე შვილობილ კომპანიაში მისი ჩართულობიდან და მას შესწევს უნარი გავლენა იქონიოს ამგვარ ამონაგებზე, შვილობილ კომპანიაზე მისი უფლებამოსილების გამოყენების გზით. დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის აქციონერთა ხელშეკრულებაში განსაზღვრული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, რომლებისთვისაც მხოლოდ ხმების უმრავლესობა მოითხოვება.

შვილობილი კომპანია შეიქმნა კომერციული (სამოქალაქო) ბაზრისთვის კომპოზიციური აერო-სტრუქტურის პროდუქტების შემუშავებაში, წარმოებაში, გაყიდვასა და მხარდაჭერაში ჩართულობის მიზნით.

21. იჯარები

ჯგუფი იჯარით იღებს მის ვაგონებს, სხვა შენობებს, კონტეინერებს, ლოკომოტივებს და სხვა ინვენტარს. ჯგუფმა აღნიშნული იჯარების საოპერაციო იჯარების სახით კლასიფიცირება მოახდინა, რადგან ისინი არ გადასცემენ აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას.

ჯგუფის მიერ 2021 წლის განმავლობაში აღიარებული საიჯარო შემოსავალი (მილსადენების იჯარის გარდა) იყო 4,647 ათასი ლარი (2020: 8,838 ათასი ლარი) და შეტანილია „შემოსავალში“.

შემდეგ ცხრილში მოცემულია საიჯარო გადახდების დაფარვის ვადის ანალიზი, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დადებული საიჯარო ხელშეკრულებების არა-გაუქმებადი პერიოდის ფარგლებში და ასახავს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მისაღებ არადისკონტირებულ საიჯარო გადახდებს.

'000 ლარი	
2021 - საოპერაციო იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
1 წელზე ნაკლები	4,397
1-დან 5-წლამდე	5,920
5 წელზე მეტი	16,861
	27,178
2020 - საოპერაციო იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
1 წელზე ნაკლები	4,013
1-დან 5-წლამდე	10,510
5 წელზე მეტი	27,526
	42,049

22. კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა დადებული ხელშეკრულებები 362,972 ათასი ლარის ოდენობით (2020: 367,643 ათასი ლარი) ძირითადი საშუალებების მშენებლობასა ან შეძენაზე, რაც ძირითადად, „ძირითადი ხაზის მოდერნიზაციის პროექტს“ - 87,486 ათასი ლარით (2020: 65,369 ათასი ლარი) და „თბილისის შემოვლითი გზის პროექტს“ - 274,881 ათასი ლარით (2020: 301,993 ათასი ლარი, გაიზარდა მხოლოდ უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გამო), უკავშირდებოდა.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ თბილისის შემოვლითი გზის პროექტზე პასუხისმგებელ კონტრაჰენტთან სამშენებლო ხელშეკრულების მომავალი შეწყვეტა ზემოთ მოცემული ოდენობის გადახდას გამოიწვევს.

ამასთანავე, „ჯგუფმა“ გააფორმა მილსადენების მშენებლობის და ძირითადი საშუალებების შესყიდვის ხელშეკრულებები 5,518 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი კაპიტალური ვალდებულებებით 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (2020: 3,841 ათასი ლარი).

„ჯგუფი“ წარმოადგენს დამატებითი გაზის შესყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რომელიც ძალაშია 2026 წლამდე, რომლის თანახმადაც „ჯგუფმა“ უნდა მიიღოს და გადაიხადოს ან აანაზღაუროს (მიღების გარეშე) კონკრეტული რაოდენობის გაზი წინასწარ განსაზღვრული ფასებით, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიმდინარე საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად დაბალია. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, შესასყიდი და გადასახდელი „დამატებითი გაზის“ მთლიანი ნარჩენი ღირებულება 611,253 ათას ლარს შეადგენდა (2020: 771,959 ათასი ლარი).

ჯგუფი ასევე წარმოადგენს გაზის გაყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რის საფუძველზეც მისმა კლიენტმა უნდა მიიღოს და აანაზღაუროს, ან აანაზღაუროს (მიღების გარეშე) „ჯგუფის“ მიერ შესყიდული გაზის მთლიანი რაოდენობა, მათ შორის „დამატებითი გაზის“ მთლიანი რაოდენობა. შედეგად „ჯგუფს“ მიაჩნია, რომ „დამატებითი გაზის“ შესყიდვასთან დაკავშირებით მათი ვალდებულება გაიქვითება „ჯგუფის“ კლიენტის ვალდებულებით, რომელიც მოიცავს გაზის რაოდენობის შესყიდვას და წარმოადგენს ეფექტურ სახელშეკრულებო ურთიერთშეთანხმებას, როდესაც „ჯგუფი“ მის ვალდებულებებს გადასცემს „ჯგუფის“ კლიენტს.

23. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება ჯგუფის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ ჯგუფი არ მოიპოვებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, იარსებებს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების განადგურებას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციაზე.

(b) სასამართლო დავები

<u>„სგტკ“-ს საქმე:</u>

2017 ოქტომბერში, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" აღძრა საქმე შპს "საქართველოს ნავთობის ტრანსპორტირების კომპანიის" წინააღმდეგ ("მოპასუხე") და მოითხოვა საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიის მიერ გაწეული, დაახლოებით 3,747 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, ზარალის ანაზღაურება, რომელიც გაწეულ იქნა მოპასუხის უუნარობის გამო "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის" მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბუნებრივი აირის ოდენობა.

ამასთანავე, „სნგკ“ ითხოვს, „სნგკ“-ს მიერ „მოპასუხისთვის“ იჯარით გადაცემული მილსადენების სისტემისთვის ამ უკანასკნელის მიერ მისი ოპერირების პერიოდში მიყენებული 706 ათასი ლარის ოდენობის ზარალის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, არ დააკმაყოფილა სარჩელი. „სნგკ“-მ საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, სასამართლო განხილვის შედეგი გაურკვეველია, რის შედეგადაც „ჯგუფმა“ აღრიცხვაში არ გაატარა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული რაიმე მოთხოვნა.

<u>ფრონტერას საქმე:</u>

2018 წლის ივლისში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტომ (შემდეგში - “ნგსს”) შეიტანეს სარჩელი ფრონტერა რისორზ ჯორჯია ქორფორეიშენის (შემდეგში - “ფრონტერა”) წინააღმდეგ. „სნგკ“ და “ნგსს”, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აყენებენ საკითხს „ფრონტერას“ მიერ “პწგხ”-ს (პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების) გარკვეული პირობების არსებითად დარღვევის თაობაზე, რაც მოიცავს სახელშეკრულებო ფართობის დაახლოებით 99%-ის დაბრუნების ვალდებულებას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით. ამის გარდა, „სნგკ“ და „ნგსს“ ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას, მათ შორის ფულად კომპენსაციას, ნავთობის განაწილების და ტერიტორიის დაბრუნების ვალდებულებების დარღვევისთვის და „კომპანიის“ მიერ გადახდილი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ანაზღაურებას, რომელიც არ ყოფილა ანაზღაურებული „ფრონტერას“ მიერ.

2018 წლის სექტემბერში „ფრონტერამ“ აღძრა შეგებებული სარჩელი, „სნგკ“ და „ნგსს“-ის მიერ 2012-2027 წლებში „პწგხ“-ს ვითომდა ჩადენილი დარღვევების შედეგად 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის მიუღებელი მოგების ანაზღაურების მოთხოვნით. „კომპანიამ“ და „ნგსს“-მ შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და მტკიცედ დაუპირისპირდნენ მას. მიუღებელი მოგების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, „ფრონტერამ“ დააყენა 3,5 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის გადასახადებთან (დღგ და აქციზის გადასახადი) დაკავშირებული მოთხოვნა და მოითხოვა XII ბლოკის ტერიტორიაზე დაშვების უფლების მოპოვების მიზნით გაწეული 74 ათასი აშშ დოლარის ოდენობის იურიდიული ხარჯების ანაზღაურება.

2019 წელს, „ფრონტერამ“ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა განცხადებით შეგებებული სარჩელის ნებაყოფლობითი გამოთხოვის თაობაზე. სნგკ-მ და ნგსს-მ გააპროტესტეს Frontera-ს მოთხოვნა, მაგრამ მოგვიანებით გაიტანეს მათი წინააღმდეგობა შემოთავაზებულ გამოთხოვასთან დაკავშირებით.

2020 წლის 17 აპრილს, საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება სადავო საკითხებთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო სასამართლომ მხარი დაუჭირა „კომპანიის“ და “ნგსს“–ის მიერ “პწგხ“– ს ინტერპრეტაციას მხარეთა შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის ნაწილში. საარბიტრაჟო სასამართლომ, სხვა საკითხებზე მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან ერთად, დაადგინა, რომ საძიებო ფართობის დაბრუნებასა და სახელმწიფოსთვის გადაცემაზე უარის თქმით მოპასუხემ - „ფრონტერამ“, “პწგხ“-ის არსებითი დარღვევა ჩაიდინა. გადაწყვეტილების მიხედვით, „ფრონტერა“და შპს „Frontera Resources US LLC” ვალდებულნი არიან აანაზღაურონ „კომპანიის“ მიერ „ფრონტერას“ სახელით გადახდილი ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის თანხა და ასევე, სნგკ-ს მიერ საარბიტრაჟო წარმოების მსვლელობისას გაწეული ხარჯები 18,522 ათასი ლარის ოდენობით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამ დაადასტურა „ფრონტერას“ მიერ შეტანილი შეგებებული სარჩელის გამოთხოვა და მასთან დაკავშირებით წარმოების შეწყვეტა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დებულებების და „პწგხ“-ს თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიხედვით, "სნგკ"-ს აქვს ფრონტერასგან 18,522 ათასი ლარის კომპენსაციის მოთხოვნის იურიდიული უფლება და „კომპანია“ იმედოვნებს ამ თანხის სრულად ამოღებას, თუმცა ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფასს-ის მიზნებისთვის, აღნიშნული უფლება არ აკმაყოფილებს მისი, მისაღებ შემოსავლად აღიარების მკაცრ კრიტერიუმებს და მაშასადამე იგი არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წლის 13 იანვარს, კაიმანის კუნძულების სასამართლოს დიდმა პალატამ გასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც "ფრონტერა"-ს ლიკვიდაცია კაიმანის კუნძულების სასამართლოს დიდი პალატის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარდა და JVL-ები დაინიშნენ ფრონტერას (JOL) ერთობლივ ოფიციალურ ლიკვიდატორებად.

2021 წლის 10 თებერვალს JOL-მა "ფრონტერა"-ს გადახდისუუნაროზა გამოაცხადა.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფისეული“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) ეკოლოგიური საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესშია და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. „ჯგუფი“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებებს. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებით, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

24. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი იმყოფება საქართველოს მთავრობის 100%-იან საკუთრებაში.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების კატეგორიაში:

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	3,439	2,878

(c) ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

ჯგუფი აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ოპერაციები საქართველოს მთავრობის კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან და ამგვარი ოპერაციების ნაშთები განხილულია ქვემოთ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა სხვა შემოსავლისა და ხარჯების აგრეგირებული ოდენობები და მთავრობასთან დაკავშირებული საწარმოების დაკავშირებული ნაშთები საანგარიშგებო თარიღებისთვის არ არის არსებითი. გარიგებები აქციონერთან წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

(i) შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2021	2020	2021	2020
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოები:				
მილსადენების იჯარა	44,567	43,065	19,357	22,851
შემოსავალი ელექტროენერგიის გამომუშავებიდან	251,605	139,136	64,132	31,377

(ii) ხარჯები

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2021	2020	2021	2020
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოები:				
ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება	9,455	9,632	1,511	1,504

(iii) სესხები

'000 ლარი	საპროცენტო შემოსავალი/ ხარჯი		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2021	2020	2021	2020
სესხები და კრედიტები:				
აქციონერი	2,056	1,970	26,163	25,242

დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები წარმოდგენილია შენიშვნაში 17(a).

25. შეწყვეტილი ოპერაციები

2020 წლის 28 თებერვალს, საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ჯგუფის კაპიტალი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და სს "ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის" საკუთრების (100%-იანი წილი) საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

(a) შეწყვეტილი საოპერაციო საქმიანობის შედეგები

'000 ლარი	2020
შემოსავალი	149,295
შიდა-ჯგუფური შემოსავლის ელიმინირება	(5,760)
გარე შემოსავალი	**143,535**
ხარჯები	(139,106)
შიდა-ჯგუფური ხარჯების ელიმინირება	30,013
გარე ხარჯი	**(109,093)**
სხვა შემოსავალი	744
საოპერაციო საქმიანობების შედეგები	**35,186**
წმინდა ფინანსური შემოსავალი	39,104
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**74,290**
მოგების გადასახადის ხარჯი	-
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება, გადასახადების გამოკლებით	**74,290**

(b) შეწყვეტილი საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული/(შეწყვეტილ საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული) ფულადი ნაკადები

'000 ლარი	2020
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	15,966
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,934)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,894)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(323)
წმინდა ფულადი ნაკადები წლის განმავლობაში	**9,815**

(c) გასვლის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე

'000 ლარი	2020
ძირითადი საშუალებები	(994,531)
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	(5,787)
დღგ-ს მოთხოვნა	(1,141)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	(33,697)
მარაგები	(9,369)
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	(35,286)
სავაჭრო მოთხოვნები	(108,587)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(114,934)
სესხები და კრედიტები	964,040
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	45,789
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	106,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	124,719
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,989
წმინდა აქტივები და ვალდებულებები	**(60,795)**
გასული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(114,934)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება	**(114,934)**

26. შემდგომი მოვლენები

2022 წლის განმავლობაში, ჯგუფმა 4 ქართული ბანკისგან მოიპოვა მოკლევადიანი დაფინანსება, 210,757 ათასი ლარის ჯამური ოდენობით, საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზნით. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, აღნიშნული საკრედიტო ხაზების ფარგლებში გატანილი ოდენობა 97,024 ათას ლარს შეადგენდა.

2022 წლის სექტემბერში, ფონდმა "Credit Europe Bank"-ისგან აღებული 17,291 ათასი ევროს ოდენობით სესხი დაფარა. დაფარვა სახელშეკრულებო პირობების მიხედვით განხორციელდა.

2022 წლის 29 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ფონდის კაპიტალი სს "საქართველოს რკინიგზის" საკუთრების (წილების 100%) სახელმწიფოსთვის გადაცემის გზით, რომლის მთლიანი კაპიტალი შეადგენდა 413,129 ათას ლარს და მთლიანი შემოსავალი 547,868 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით, რომლის მთლიანი კაპიტალი შეადგენდა 1,045,048 ათას ლარს და მთლიანი შემოსავალი 1,114,608 ათას ლარს
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

27. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან და ჯგუფის ყველა საწარმოსთან მიმართებაში.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა შერწყმა

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს, შესყიდვის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა შერწყმა მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული ამონაგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გარიგების ხარჯები, სესხის გამოშვებასთან და კაპიტალის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით - აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურების ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ანაზღაურება კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მისი გადაფასება არ ხდება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის.

შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელი წილის დეფიციტურ ნაშთს.

(iv) შესყიდვები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისგან

ჯგუფის მაკონტროლებელი აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში წილების გადაცემიდან წარმოშობილი საწარმოთა შერწყმა აღირიცხება, ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან. შეძენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც აღიარებულია შეძენილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. შეძენილი საწარმოების კაპიტალები ჯგუფის კაპიტალზე არის დამატებული. შესყიდვამდე წილების გადაფასება არ ხდება. შესყიდვისთვის გადახდილი ნებისმიერი ფულადი სახსრები პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

(v) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების აღიარებას, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი ნამეტი ან დეფიციტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ ჯგუფი ინარჩუნებს რაიმე წილს წინა შვილობილ კომპანიაში, მაშინ მსგავსი წილი ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის. შემდგომ, იგი აღირიცხება როგორც "ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში" ან "გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი" - შენარჩუნებული გავლენის დონის მიხედვით.

(vi) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში (კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები)

ჯგუფის წილები ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილებს მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებშიც „ჯგუფს“ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არ ახორციელებს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს, როდესაც „ჯგუფი“ ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას სხვა საწარმოში. ერთობლივი საწარმო არის გარიგება, რომელშიც ჯგუფს აქვს ერთობლივი კონტროლი, რომლის თანახმადაც ჯგუფს აქვს უფლებები გარიგების წმინდა აქტივებზე და არა უფლებები მის აქტივებზე და ვალდებულებები მისი ვალდებულებებისთვის.

მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში წილები აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და ისინი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით ან ინვესტირებული საწარმოს ჯგუფის კუთვნილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით, რომელიც აღიარებულია მეკავშირე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში მისი შეძენის თარიღისთვის, თუ ამგვარი შეძენა მომდინარეობს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოდან. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს გარიგების ღირებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის წილს მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების მიზნით კორექტირებების განხორციელების შემდეგ, იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან საერთო კონტროლი, ამ უკანასკნელის დასრულებამდე.

როდესაც ჯგუფის ზარალის წილი აჭარბებს მის წილს წილობრივი მეთოდით აღრიცხულ საწარმოებში, აღნიშნული წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციების ჩათვლით, შემცირებულია ნულამდე, და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფს აქვს ვალდებულება ან აქვს განხორციელებული გადახდები ინვესტიციის ობიექტის სახელით.

(vii) ერთობლივი ოპერაციები

ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს თითოეული საწარმოს მიერ განხორციელებულ შეთანხმებას, ერთობლივი ოპერაციების განსახორციელებლად მისი საკუთარი აქტივების გამოყენებით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს აქტივებს, რომლებსაც აკონტროლებს ჯგუფი და ვალდებულებებს, რომლებსაც ის კისრულობს ერთობლივი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე ხარჯებს, რომლებსაც გასწევს ჯგუფი და მისი შემოსავლის წილს, რომელსაც ის ერთობლივი ოპერაციიდან მიიღებს.

(viii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

შიდა-ჯგუფური ნაშთები და ტრანზაქციები, ასევე შიდა-ჯგუფური ოპერაციებისას წარმოქმნილი ნებისმიერი არა-რეალიზებული შემოსავალი და ხარჯები არის ელიმინირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. არარეალიზებული ამონაგები, რომელიც წარმოიშვება ინვესტიციებიდან წილობრივი მეთოდით აღრიცხულ საწარმოებში, ელიმინირდება ინვესტიციის საპირწონედ ინვესტირებულ საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად. არარეალიზებული ზარალები ელიმინირდება იგივენაირად როგორც არარეალიზებული ამონაგები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს, რომლის ოპერაციები და ფულადი ნაკადები შეიძლება მკაფიოდ იყოს გამორჩეული ჯგუფის დანარჩენი საქმიანობისგან და რომელიც:

- წარმოადგენს ბიზნესის ინდივიდუალურ ძირითად ხაზს ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- წარმოადგენს ბიზნესის ინდივიდუალური ძირითადი ხაზის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გასვლის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილს; ან
- არის შვილობილი კომპანია, რომელიც შეძენილია მხოლოდ გადაყიდვის მიზნებისთვის.

შეწყვეტილი ოპერაციის სახით კლასიფიკაცია ხდება გასვლისას ან როდესაც ოპერაცია აკმაყოფილებს გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებულის კრიტერიუმებს (თუ ამ უკანასკნელს უფრო ადრე ჰქონდა ადგილი).

როდესაც ოპერაცია შეწყვეტილი ოპერაციის სახით არის კლასიფიცირებული, შესადარისი მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება არის ხელახლა წარმოდგენილი, იმგვარად თითქოს ოპერაცია იყო შეწყვეტილი შესადარისი პერიოდის დასაწყისიდანვე.

(c) შემოსავალი

ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

(i) მილსადენების იჯარა

საოპერაციო იჯარა:

ჯგუფი იჯარით გასცემს გაზის მილსადენებს და მათთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე". საიჯარო ხელშეკრულება არის არა-გაუქმებადი და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრამდე.

გაზის მილსადენების იჯარებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ საიჯარო გადასახადს, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ყოველთვიურად.

(ii) ნავთობის ტრანსპორტირება

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მოიცავს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ პირობით ქირას. შემოსავალი აღიარდება მილსადენებით გადაცემული ნავთობის მოცულობის მიხედვით, ხელშეკრულებით ბარელ ნავთობზე დადგენილი განაკვეთის საფუძველზე.

(d) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე და სასესხო მოთხოვნებზე;
- ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე დისკონტის პოზიციის დახურვა;
- რესტრუქტურიზებულ მოთხოვნაზე დისკონტის პოზიციის დახურვა;
- პრემია ნაადრევ დაფარვაზე;
- კლიენტების მხრიდან გადახდების დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმები;
- საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსავალი ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა ან ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(e) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(f) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(g) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია გადახდილ მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(h) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება ძირითადად განისაზღვრება FIFO მეთოდის პრინციპის მიხედვით და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარებაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება, და მისი ღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ტექნიკური მომსახურების და შეკეთების ხარჯები აღიარდება შემდეგნაირად:

- მოძრავი შემადგენლობა:

– მიმდინარე ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (შეკეთება და გამოუყენებელი ან დაკარგული ნაწილების ჩანაცვლება) აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯები მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

– მრავალწლიანი კაპიტალური რემონტის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება, როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით;

– აქტივის სასიცოცხლო ვადის ბოლოს განხორციელებული კაპიტალური რემონტი, განახლებებთან ერთად, კაპიტალიზდება მაშინ, როდესაც ახანგრძლივებს შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას.

- ფიქსირებული შემადგენლობა:

– მიმდინარე ტექნიკური მომსახურების და შეკეთების ხარჯები (ტექდათვალიერება, ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულებები და ა.შ.) აღიარდება მოგებასა ან ზარალში როგორც საოპერაციო ხარჯი, მათი გაწევისთანავე;

– შრომის, მასალების და სხვა ხარჯები (ლიანდაგების, განძელების და ბალასტების დაგებასთან დაკავშირებული ხარჯები) მრავალწლიანი სამშენებლო ან ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში კაპიტალიზდება თითოეული განხილული კომპონენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ჩანაცვლებით;

– ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აუმჯობესებს აქტივის სამუშაო შესაძლებლობას (გადაადგილების სამუშაო სიჩქარე).

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების ერთეულის თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 15 - 50 წელი;
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურა 13-25 წელი;
- გაზის და ნავთობის მილსადენები 30-35 წელი;
- ნავთობის ჭაბურღილები 4-9 წელი;
- ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული 25 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და სხვა 1 - 25 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(j) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, ღირებულების ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

აღიარება და შეფასება

საინვესტიციო ქონების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას.

თუ საინვესტიციო ქონების ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემდგომი დანახარჯები

საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ სავარაუდოა, რომ იგი უზრუნველყოფს კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება. ფასდება ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს და სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, ვადიან ანაბრებს და მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია. ვადიანი ანაბარი წარმოადგენს ვადიან ანაბრებს ბანკებში 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით შეძენის თარიღიდან, მაგრამ რომლისთვისაც ჯგუფს აქვს ცალმხრივი უფლება, რომ გამოიტანოს თანხები რამდენიმე დღის განმავლობაში შეტყობინების გაგზავნიდან მნიშვნელოვანი ჯარიმების გადახდის ან პროცენტის დაკარგვის გარეშე.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (ანუ კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში ინიცირებული ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, თუ სესხის ხელშეკრულების პირობები აძლევს ბანკებს ამის უფლებას და „ჯგუფს“ აქვს უფლება დაეთანხმოს გადახედილ საპროცენტო განაკვეთს ან დააბრუნოს სესხი ჯარიმების გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება

(l) კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

მეკავშირე საწარმოებში და შვილობილ საწარმოებში (რომლებიც ქმნიან ბიზნესს) წილების შენატანის გარდა, მესაკუთრეების არაფულადი შენატანების აღიარება ხდება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, შენატანის განხორციელების თარიღისთვის.

არაფულადი განაწილებების აღიარება ხდება განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით, თუ ამგვარი განაწილებები სცდება ფასიკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) გამოყენების ფარგლებს.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, ჯგუფი ითვალისწინებს დასაბუთებულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკით გაუფასურების მტკიცებულებები მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე, გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(n) დივიდენდები

დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე აისახება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში.

(o) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა „ჯგუფს“ აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადებამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(p) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. ჯგუფი შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

(q) ძიების და შეფასების აქტივები

ძიების და შეფასების საქმიანობა მოიცავს წიაღისეულის ძიებას, ტექნიკური მიზანშეწონილობის დადგენას და მოძიებული რესურსის კომერციული მიზანშეწონილობის შეფასებას.

ძიების და შეფასების საქმიანობა მოიცავს:

- ისტორიული საძიებო მონაცემების კვლევა და ანალიზი;
- საძიებო მონაცემების შეგროვება გეოფიზიკური კვლევების საშუალებით;
- საძიებო ბურღვა და სინჯის აღება;
- წიაღისეულის მოცულობისა და ხარისხის განსაზღვრა და შემოწმება; ტრანსპორტირებისა და ინფრასტრუქტურის მოთხოვნების კვლევა;
- საბაზრო და საფინანსო კვლევების ჩატარება.

ზემოაღნიშნულ ძიებისა და შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ძიებისა და შეფასების აქტივების სახით კაპიტალიზირდება.

ძიებისა და შეფასების აქტივები მოწმდება გაუფასურებაზე მაშინ, როდესაც ისინი რეკლასიფიცირებულია განვითარების მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად, ან როდესაც ფაქტები და გარემოებები გაუფასურებაზე მიანიშნებს. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით რა ოდენობითაც ძიებისა და შეფასების აქტივების საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება. ანაზღაურებადი ღირებულება არის ძიებისა და შეფასების აქტივების გამოყენებით ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნით, ტესტირებას დაქვემდებარებული ძიებისა და შეფასების აქტივები ჯგუფდება იმ საწარმოო ველების ფულადი სახსრების მწარმოებელ ერთეულებთან, რომლებიც იგივე გეოგრაფიულ რეგიონში მდებარეობს.

29. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის შესწორებები)*
- *საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის შესწორებები).*
- *COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები (ფასს 16-ის კორექტირება).*
- *ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორებები).*
- *კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის შესწორებები);*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები*

სს „საპარტნიორო ფონდი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში
2021 წელი

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს „საპარტნიორო ფონდი" (შემდგომში „ფონდი) არის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია რომელიც დაარსდა 2011 წელს.

ფონდი არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება და იმართება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარე არის საქართველოს პრემიერ მინისტრი. აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აგრეთვე არიან ოთხი მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები.

ფონდისათვის არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებს, დაფინანსების პრინციპებს და წყაროებს, პროექტებში მონაწილეობის ფორმებს, კორპორატიულ მმართველობას და ანგარიშგებას.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც ე.წ. Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე ე.წ. Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით.

31 დეკემბერი 2021 წლის მდგომარეობით, ფონდი ფლობდა შემდეგ საწარმოებს, რომლებიც ადრე პირდაპირ სახელმწიფოს მფლობელობაში იყო:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი

ფონდის დაფუძნებიდან 2022 წლის ბოლომდე „საქართველოს რკინიგზიდან“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული დივიდენდები წარმოადგენდა ფონდის საინვესტიციო საქმიანობის მთავარ წყაროს. ფონდის წესდების და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ფონდი ძირითადად საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებს როგორც არა-მაკონტროლებელი წილის მფლობელი ინვესტორი წინასწარ განსაზღვრული პროექტიდან გასვლის სტრატეგიით, რაც ხშირ შემთხვევაში ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს შეადგენს. თუმცა ფონდი აგრეთვე ეწევა საინვესტიციო საქმიანობას როგორც მაკონტროლებელი წილის მფლობელი აქციონერი. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

ფონდი ახორციელებს საკუთარი კაპიტალის მიწოდებას და ე.წ. Mezzanine-ის სახის ინსტრუმენტებში ინვესტირებას და რიგ შემთხვევებში, სუბორდინირებული სესხების გაცემას.

2021 წელი ფონდის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგებამ შეადგინა 134.9 მლნ ლარი, ხოლო საოპერაციო მოგებამ - 168.9 მლნ ლარი. 2020 წლისგან განსხავებით, ლარის კურსის სტაბილურობა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში 2021 წლის განმავლობაში დადებითად აისახა ფონდის კონსოლიდირებულ შედეგზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის განკარგულების შესაბამისად, „საქართველოს რკინიგზის“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აქციათა 100% ამოღებულ იქნა ფონდის კაპიტალიდან 2022 წლის 16 დეკემბერს და გადავიდა სახელმწიფოს პირდაპირ საკუთრებაში. ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, 2023 წლის განმავლობაში იგეგმება ცვლილებები „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ კანონში, რაც ფონდის საქმიანობას უფრო მოქნილს და ეფექტიანს გახდის.

2022 წლის დეკემბერში ფონდმა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ მიჰყიდა „გარდაბნის თბოსადგურის“ 49.092% წილი 43.2 მლნ ევროდ. აღნიშნულ თანხას „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გადაიხდის რამოდენიმე ტრანშად და პირველი ტრანშით ფონდი სრულად დაფარავს ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული ბანკიდან აღებულ სესხს.

განვითარების გეგმები

ფონდის განვითარების გეგმების განსახილველად, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ფონდის ორი უმსხვილესი შვილობილი კომპანიის, „საქართველოს რკინიგზის“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ განვითარების გეგმები.

„საქართველოს რკინიგზას“ გააჩნია სხვადასხვა სახის უძრავი ქონება, მოძრავი შემადგენლობა, დანადგარები და სხვა საკუთრებები. კომპანიის აქტივების ჯამურმა ღირებულებამ 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 2.3 მილიარდი ლარი იყო. კომპანია ფლობს და ამუშავებს შემდეგ აქტივებს:

- ლიანდაგები;
- ვაგონები
- კონტეინერები;
- ლოკომოტივები;
- ელექტრომატარებლები (EMU);
- სადგურები;
- ადმინისტრაციული შენობები
- მიწა;
- გვირაბები, ხიდები და სხვა ინფრასტრუქტურული საკუთრებები;

ზოგიერთი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ჩამონტაჟებული სისტემები და ენერგეტიკული ქვესადგურები და ზოგიერთი კავშირში მყოფი საკუთრებები,

რომლებიც კომპანიას ეკუთნის და ისინი ამუშავებენ, როგორიცაა მოძრავი შემადგენლობა, შედარებით ძველია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფრასტრუქტურის მდგომარეობა საკმარისია, რომ ჯგუფის მიმდინარე და დაგეგმილი სარკინიგზო ოპერაციების განხორციელება მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე მოხდეს, „საქართველოს რკინიგზა“ განაგრძობს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი სამუშაოების გაუმჯობესებას. იგი აგრძელებს მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადებას, რათა მოხდეს ინფრასტრუქტურის რეკონსტრუირება, „რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის“ ჩათვლით.

საქართველოს რკინიგზა ტრასეკას ძირითადი სეგმენტია - უმოკლესი მარშუტი კასპიის ზღვიდან და ცენტრალური აზიიდან შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისკენ. შედეგად, ჯგუფის სატვირთო გადაზიდვების მოცულობები დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკური საქმიანობის მიმართ მგრძნობიარეა და ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკებს მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს. დაბალი ნავთობის ფასები, რუსეთის რეცესია (დსთ-ს ქვეყნებში ყველაზე დიდი ეკონომიკა), შემცირდა მოთხოვნა რუსეთიდან და რამდენიმე გეოპოლიტიკური მოვლენები/კონფლიქტები (მაგალითად, დასავლეთის სანქციები რუსეთზე, კონფლიქტი უკრაინაში და აზერბაიჯანისა და სომხეთის მტრული ურთიერთობა) დსთ-ს ქვეყნებში ნელ-ნელა გაიზარდა. ბოლო წლების განმავლობაში ასევე მოხდა რუსული რუბლისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების ვალუტების გაუფასურება.

დსთ-ს ქვეყნებზე დამოკიდებულების შემცირების და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის მიზნით, ჯგუფი ახალ ბაზრებზე გასვლას ცდილობს. ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) პროექტის დასრულების შემდეგ, საქართველოს რკინიგზა მიზნად ისახავს, ჩინეთი-ევროპისა და ჩინეთი თურქეთის გაზრდილი ვაჭრობის მოცულობების ფონზე სარგებლის ნახვას. 2020-2021 წლებში ევროკავშირი ჩინეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ჩინეთი ასევე თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. კომპანია იკვლევს ტრანზიტული მარშრუტის შესაძლებლობას აზიასა და ევროპას შორის. ჯგუფი ასევე მიზნად ისახავს ინდოეთიდან სავაჭრო მარშრუტის განვითარებას.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სტაბილური და წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს სტრატეგიული ხედვა, რომელზეც ის იქნება ორიენტირებული გრძელვადიან პერსპექტივაში. ამისთვის საჭიროა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შესწავლა და მათი განვითარების გეგმის შემუშავება.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- იაფი ენერგორესურსების მოზიდვა და რეგიონალურ ენერგოკომპანიებთან
- თანამშრომლობა მოწოდების იაფი და საიმედო, მათ შორის ახალი წყაროების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის არსებული და დაგეგმილი სატრნზიტო პროექტების განვითარების აქტიური მხარდაჭერა;
- სატრანზიტო პროექტებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ენერგო რესურსებზე საბაზრო ფასის ცვალებადობით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე დაყვანისა და საქართველოს მოსახლეობისა და ენერგეტიკული სექტორისათვის ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომი და გარანტირებული მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა სახელმწიფო ინტერესების გატარების ექსკლუზიური უფლებით;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება მათი ფუნქციონირების მაღალი ტექნიკური საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბიზნესის დივერსიფიკაცია, მათ შორის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროექტებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით გზით.
- რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული სამართლებრივი ბაზისა და საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების იმპლემენტაციის მეშვეობით.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სტრატეგიული დაგეგმარების და ტექნიკური დეპარტამენტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, ენერგიის დამატებითი წყაროების, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით და ადგენენ გრძელვადიან პროექტებს, რომლის შესრულება და დანერგვა ხდება ეტაპობრივად.

ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის, კორპორაცია მუდმივად მუშაობს ნავთობისა და გაზის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავლების ეფექტურ მართვაზე და ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ენერგოპროექტებში საკუთარი სახსრებით.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი“ აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან პროექტების დაფინანსების კუთხით.

2021 წლის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 29 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ფონდის კაპიტალი სს "საქართველოს რკინიგზის" საკუთრების (წილების 100%) სახელმწიფოსთვის გადაცემის გზით, რომლის მთლიანი კაპიტალი შეადგენდა 413,129 ათას ლარს და მთლიანი შემოსავალი 547,868 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით, რომლის მთლიანი კაპიტალი შეადგენდა 1,045,048 ათას ლარს და მთლიანი შემოსავალი 1,114,608 ათას ლარს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფონდის თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის ფონდი ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ფონდისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ამ კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები.

ფონდის გააჩნია სავალუტო ოპერაციები და იგი სენსიტიურია სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. ფონდის ფულადი ნაკადები განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შენიშნა N21), რომელიც გაიცა 2023 წლის 23 იანვარს.

კორპორატიული მართვა

ეფექტური კორპორატიული მმართველობა წარმოადგენს წარმატებული ბიზნესის საფუძველს. ფონდის კორპორატიული მმართველობის სისტემა მიმართულია ინვესტორებთან, აქციონერებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სანდო და საიმედო ურთიერთობების შენარჩუნებაზე და მის განვითარებაზე, რაც ზრდის ფონდის საინვესტიციო მიმზიდველობას.

ფონდში დასაქმებული ყველა თანამშრომელს გააჩნია სამუშაოს აღწერილობა და თანამშრომლების სამსახურში აყვანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

ფონდის შიდა კონტროლის სისტემა

ფონდის შიდა კონტროლზე პასუხისმგებელია პროექტების მონიტორინგისა და შიდა აუდიტის სამსახური. აღნიშნული სამსახური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ახორციელებს ფონდის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტური და ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგს, შეფასებას და შესაბამის უკუკავშირს. აღნიშნული სამსახური ხელმძღვანელობის შიდა აუდიტის დებულების შესაბამისად, რაც ეფუძნება „თრეიდუეის კომისიის მასპონსორებელი ორგანიზაციების კომიტეტის“ (Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commission, COSO) მიერ შემუშავებული შიდა კონტროლის სისტემის კონცეპტუალური საფუძვლების შესაბამისად.

ფონდში აგრეთვე ფუნქციონირებს შვილობილ საწარმოებში წარმომადგენლობისა და პროექტების ზედამხედველობის სამსახური, რომელიც ფონდის პროექტების მონიტორინგისა და შიდა აუდიტის სამსახურთან ერთად ახორციელებს ფონდის შვილობილ კომპანიების და საინვესტიციო პროექტების მონიტორინგს.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება, გაკონტროლება და მათზე ადეკვატური რეაგირება ფონდის გარემოსდაცვითი სტრატეგიის ნაწილია. ფონდის ყველა საინვეტიციო პროექტში გარემოს დაცვითი საკითხების შესწავლა ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადგილობრივი და საერთაშორისი ექსპერტების მიერ.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

ფონდის ხედვებიდან, ფასეულობებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებზე და გარემოზე ზრუნვა, ქველმოქმედება და სხვა სოციალურად საჭირო აქტივობები არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც კონცენტრირებულია ფონდის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

ფონდი აქტიურად ჩართულია სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას და მათი პირობების გაუმჯობესებას, იმ პირების დახმარებას, რომლებსაც

ესაჭიროებათ მკურნალობა/რეაბილიტაცია. ფონდი აგრეთვე თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და ფონდის შიგნით ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას, რათა თანამშრომლებიც იყვნენ ინფორმირებულები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ დახმარების პროექტებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 23 იანვარს.

დავით საგანელიძე აღმასრულებელი დირექტორი	იოსებ მამუკელაშვილი ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი

ესაჭიროებათ მკურნალობა/რეაბილიტაცია. ფონდი აგრეთვე თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და ფონდის შიგნით ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას, რათა თანამშრომლებიც იყვნენ ინფორმირებულები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ დახმარების პროექტებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 23 იანვარს.

დავით სვანელიძე
აღმასრულებელი დირექტორი

იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
დირექტორი